გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

60 თეთრი

№113 (1139) 9 – 10 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სამხატვრო აკადემიის უნიკალური შენობის რეკონსტრუქცია ბიუჯეტს 8 მილიონი დაუჯდება

რეაბილიტაციაში ისპაჰანის უნივერსიტეტის თანამშრომლებიც მონაწილეობენ

გვ. 7

გამოუვალი მდგომარეობა

მოსამართლე ურთმელიძემ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა!

გვ. 3

უპასუხო კითხვები „რუსთავი 2"-ის საქმეზე

„პოლიტიკური აქტიორების უმეტესობა წელსქვემოთ თამაშობს!"

ირაკლი ტაბლიაშვილი:

„კონკრეტული მღვდელმსახურები პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ!"

გვ. 4–5

არა–ჩვეულებრივი ინტერვიუ

ახალი სკოლები ლამბალოსა და იორმუღანლოში

განათლების სამინისტრო ახალი სკოლების მშენებლობასა და რეაბილიტაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს

გვ. 6

„კაიბიჭებმა" ქურდებს საფლავის ქვის ფული „მოუტეხეს"

გვ. 8

რა „რაზბორკა" მოჰყვა სამეგრელოში დაწრიალებულ ცრაგელიას

რადიო „თავისუფლება“: „საქართველოს მოუწოდებენ, მედიის დამოუკიდებლობას პატივი სცეს“

რადიო „თავისუფლების“ ევროპული ბიურო „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს სტატიას უძღვნის სათაურით „საქართველოს მოუწოდებენ, მედიის დამოუკიდებლობას პატივი სცეს“.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ აშშ-მ ღრმა შეშფოთება გამოთქვა „რუსთავი 2“-ის მმართველობის შეცვლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რეედომ ოუსე-მა კი, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, „შეწყვიტოს მედიის საქმეებში ჩარევა“.

ანალოგიური შინაარსის პუბლიკაციას აქვეყნებს „ამერიკის ხმაც“. სტატიაში წერია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეშფოთება გამოთქვეს მედიის სფეროში უფლებადამცველებმა და დიპლომატებმა ევროპიდან და აშშ-დან.

სტატიაში მოყვანილია მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენლის დუნია მიატოვიჩის განცხადება, რომლითაც ის მოუწოდებს საქართველოს სასამართლოს, „სრულად სცეს პატივი „რუსთავი 2“-ის სარედაქციო დამოუკიდებლობის უფლებას“.

„ამერიკის ხმა“ აღნიშნავს, რომ ერთობლივი განცხადება „რუსთავი 2“-ის საქმეზე აშშ-ს საელჩომ, ევროკავშირის წარმომადგენლობამ და საქართველოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოების ხელმძღვანელებმა გააკეთეს.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი ვალია, ვიცხოვროთ ისე, როგორც ილია ჭავჭავაძეს მოეწონებოდა!“

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საგურამოში განაცხადა, სადაც ილიაობის დღესასწაულს დაესწრო:

„ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ ილიას ღვაწლზე, მის მოღვაწეობაზე, მის აზროვნებაზე. მართლაც ძალიან აქტუალურია ილიას ნააზრევი, რომელიც იყო აქტუალური საუკუნის წინ და მჯერა, ასევე იქნება აქტუალური საუკუნის შემდეგ. ყოველი მისი ნაბიჯი, მისი მოღვაწეობა და ქმედება იყო გამიზნული იმისკენ, რომ გაძლიერებულიყო ქართული სახელმწიფო და ქართული საზოგადოება. სწორედ ილიას დამსახურებაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში გაღვივდა ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება. სწორედ ამიტომ, ჩვენი ვალია, განსაკუთრებულად დავაფასოთ ამ უდიდესი ქართველის, ჩვენთვის საამაყო ადამიანის მოღვაწეობა და ვიცხოვროთ ისე, როგორც მოეწონებოდა ილია ჭავჭავაძეს; მივდიოთ მის გზას, რომელიც არის სიმართლის გზა“.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისის პროკურატურაში ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

როგორც პროკურატურა იუწყება, პოლიციის ცალკეული თანამშრომლების მიმართ თბილისის პროკურატურაში ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე 333-ე მუხლის მესამე ნაწილით საქმეა აღძრული. მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ტარდება.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის, ირმა ჭკადუას ინფორმაციით, ვაკე-საბურთალოს მეხუთე განყოფილებაში სამართალდამცავებმა ადვოკატი გიორგი მდინარაძე სცემეს.

როგორც ჭკადუამ განაცხადა, გიორგი მდინარაძე ორი დღის წინ დაინიშნა ერთ-ერთი დაკავებული არასრულწლოვნის სავალდებულო წესით დასაცავად და როდესაც განყოფილებაში მივიდა, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მდინარაძე ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

„ეს არის სამარცხვინო. სასწრაფოდ უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, ვინც ცემაში მონაწილეობდა და დადგეს ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა. ხელმძღვანელ პირებში არ ვგულისხმობ მხოლოდ კონკრეტული განყოფილების უფროსს. უნდა დაიგმოს და დაისაჯოს ყველა ადამიანი, ვინც აგრძელებს იმ პრაქტიკას, რომელიც 2012 წლამდე იყო ამ ქვეყანაში გაბატონებული“, — განაცხადა ჭკადუამ.

„ინტერპრესნიუსი“

ეშტონ კარტერი რუსეთს საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტის დარღვევაში ადანაშაულებს

აშშ-ს თავდაცვის მდივანი, ეშტონ კარტერი რუსეთს ადანაშაულებს, რომ „ბირთვულ იარაღს აჟღარუნებს“, ასევე ცდილობს, შეცვალოს არსებული მსოფლიო წესრიგი და დაარღვიოს სტრატეგიული სტაბილურობა.

„რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის ჟღარუნი ყველაზე მეტად იწვევს აღელვებას და კითხვებს წარმოქმნის, რუსეთის ლიდერების მიერ ვალდებულებების შესრულების საკითხში სტრატეგიულ სტაბილურობასთან დაკავშირებით, მათ მიერ ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის ნორმების პატივისცემაზე“, — განაცხადა პენტაგონის ლიდერმა კალიფორნიის შტატში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ეშტონ კარტერმა რუსეთი უკრაინისა და საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევასა და ბალტიის ქვეყნების დაშინებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ რუსეთის მონაწილეობა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციაში, სირიაში არსებულ კონფლიქტს „ცეცხლზე ნავთს ასხამს“.

„ჩვენ არ ვისწრაფვით „ცივი ომისკენ“, მით უმეტეს, ცხელი ომისკენ რუსეთთან. არ გვსურს, რუსეთი ჩვენი მტერი იყოს, მაგრამ არ უნდა დავუშვათ შეცდომები: აშშ დაიცავს საკუთარ ინტერესებს, თავისი მოკავშირეების ინტერესებს, პრინციპულ საერთაშორისო წესრიგს“, — განაცხადა კარტერმა.

მისი თქმით, არც რუსეთს და არც ჩინეთს ამ წესრიგის შეცვლა არ შეუძლიათ, მაგრამ ცალკეულ საკითხებში გამოწვევები ხდება.

თავდაცვის მდივნის განცხადებით, რუსეთისგან წამოსული მუქარა, ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, აშშ-ს აიძულებს, საკუთარი ბირთვული ძალებისა და შეიარაღების სხვა სახეობების მოდერნიზება განახორციელოს.

„ჩვენ ინვესტიციებს ვდებთ ტექნოლოგიებში, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთის პროვოკაციებს, კერძოდ, ახალ უპილოტო სისტემებში, ახალ დიდი მანძილის ბომბდამშენებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებში“, — აცხადებს კარტერი.

პენტაგონის ლიდერმა ჩინეთი დაადანაშაულა „მზარდ ამბიციებში“, სამხედრო ძლიერების გაზრდასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარაში.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცველებს ბავშვი შემოაკვდათ

ჩიკაგოს პოლიციის ოფიცრებმა 6 წლის ბავშვი შემთხვევით დაჭრეს, როცა ბავშვის მამის დაკავებას ცდილობდნენ. მამაკაცი მძიმედაა დაჭრილი.

სამართალდამცველებს ბრალდება მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მუხლით წაუყენეს. გამოძიება გრძელდება.

„ინტერპრენიუსი“

პატრიოტთა ალიანსი თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადაყენებას მოითხოვს

„არა გაყალბებულ არჩევნებს“, — ამ სლოგანით რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან მთავრობის ადმინისტრაციისკენ პატრიოტთა ალიანსის მსვლელობა გაიმართა.

აქციის მონაწილეთა თქმით, მათი მთავარი მოთხოვნაა საარჩევნო გარემოს შეცვლა, ასევე თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადაყენება, რადგანაც პატრიოტთა ალიანსის ლიდერების თქმით, ისინი უშუალოდ უწევდნენ ორგანიზებას საგარეჯოში არჩევნების გაყალბებას.

მსვლელობის დაწყებამდე პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა, ირმა ინაშვილმა საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდა სიმშვიდისკენ, მან ასევე მადლობა გადაუხადა პატრულის თანამშრომლებს, რომლებიც, ინაშვილის თქმით, მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

მსვლელობის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ბანერი, რითიც მოითხოვდნენ არჩევნების გამყალბებლების დასჯას.

„ინტერპრესნიუსი“

პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა და გვარები დალოცა.

საკვირაო წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ, დეკანოზი დავით გოცირიძე მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა. გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა დეკანოზი იაკობ სირბილაძე.

გარდა ამისა, პატრიარქმა ყოლბაიები, გოგიბერიძეები და კახურაშვილები დალოცა.

„ყოლბაიები გასულ კვირას დავლოცეთ და დღესაც კიდევ ერთხელ ვლოცავთ. ჩანს, განსაკუთრებული დამსახურება აქვს ღვთის წინაშე. ყოლბაიების წარმომადგენლები აქ ბრძანდებიან, მათ შორის აფხაზეთიდან ჩამობრძანებული“, — აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიარქმა მრევლს შეახსენა, რომ 13 ნოემბერს 100 ათასი მოწამის ხსენების დღე აღინიშნება და განაცხადა, რომ ამ დღეს, 17:00 საათზე, მეტეხის ხიდზე მათ სადიდებლად პარაკლისი შესრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

ნაფეტვრების ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების ფაქტი გამოვლინდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ-ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლებმა, ნაფეტვრების ტერიტორიაზე სამშენებლო ნარჩენით გარემოს დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იუწყება, დეპარტამენტის ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებების საფუძველზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინტენსიური მონიტორინგი მიმდინარეობდა, რის შედეგადაც, გამოვლინდა სამართალდამრღვევი, რომელმაც ნაფეტვრებში დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენი დაყარა. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა. თუმცა აღნიშნულმა პირმა დანაშაული განმეორებით ჩაიდინა და ნაფეტვრების ტერიტორიაზე სატვირთო ავტომანქანით კვლავ ინერტული მასალა მიიტანა. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებში გადაიგზავნება.

შეგახსენებთ, რომ სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისას ფიზიკური პირი ჯარიმდება 500, იურიდიული პირი კი 1500 ლარის ოდენობით. განმეორებით შემთხვევაში ჯარიმის თანხა ორმაგდება.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გამოუვალი მდგომარეობა

მოსამართლე ურთმელიძემ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა!

დავა „რუსთავი 2“-ზე გრძელდება. ამ დროისთვის უკვე არსებობს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და განჩინება, რომელიც მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ 5 ნოემბერს მიიღო. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბოლომდე მოგებული ჯერჯერობით არც ქიბარ ხალვაშია და არც — „რუსთავი 2“. ხალვაშმა ვერ მიიღო ლოგო და ზარალის სახით მოთხოვნილი 18 მილიონი, სამაგიეროდ, მიიღო ტელეკომპანიის 100%-იანი წილი. გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ორივე მხარეს თვენახევრიანი ვადა აქვს. სამაგიეროდ, 5-დღიანი ვადა რჩება მოსამართლის 5 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებისთვის, რომელმაც მოვლენათა განვითარება კრიტიკულად შეცვალა. ურთმელიძემ ხალვაშის კიდევ ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა — ნიკა გვარამია არხის გენდირექტორობიდან მოხსნა და „რუსთავი 2“-ის დროებით მმართველებად არხის წილის ერთ-ერთი მოდავე, დავით დვალი და კონკურენტი არხის გენდირექტორის მოადგილე, რევაზ საყევარიშვილი დანიშნა.

პირველი, რამაც კითხვისნიშანი გააჩინა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაა, რომელიც არხის წილებზე საბოლოო განაჩენის გამოტანამდე სამოქალაქო კოდექსის 268-ე ანუ „დაოყოვნებლივ აღსრულების“ მუხლის შეჩერებას ეხება. მოსამართლე ურთმელიძის განჩინებით კი, არხის გენერალური და ფინანსური დირექტორების შეცვლა დაუყოვნებლივ, 5 ნოემბრიდანვე უნდა მომხდარიყო, თუმცა ეს ორი გადაწყვეტილება ერთმანეთს მხოლოდ შინაარსობრივად დაემთხვა, რადგან ურთმელიძემ განჩინება სამოქალაქო კოდექსის 271-ე მუხლით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფით გაამაგრა. ამგვარად, ნიკა გვარამიასა და არხის ფინანსურ დირექტორს, კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერდათ, მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ დუეტს კი სამაუწყებლო ბადის შეცვლის, ჟურნალისტებისთვის კონტრაქტების გაუქმებისა და გაგრძელების, ხელფასების გადახედვის, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციისა და, ერთი სიტყვით, არხის სრულად მართვის უფლება უკვე 5 ნოემბრიდან მიეცა. 6 ნოემბერს დავით დვალმა, ჯარჯი აქიმიძემ, რეზო საყევარიშვილმა, ქიბარ ხალვაშმა და მისმა ადვოკატმა პაატა სალიამ ბრიფინგი გამართეს, სადაც ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ს გარკვეულ ნაწილს „ზონდერჟურნალისტები“ უწოდა და დიდსულოვნად დასძინა, საბოლოოდ, არხის 100%-იან წილს მე თუ მივიღებ, 50%-ს აქიმიძე-დვალს მივცემო. პირდაპირ ეთერში არხის წილების „ძმაბიჭური გაყოფის“ მერე, ეროსი კინწარიშვილი, რომელიც არავის გახსენებია, მხოლოდ იმისთვის ახსენეს, რომ მის მიერ მოფიქრებული სლოგანი — „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ გაეკრიტიკებინათ. როგორც ბრიფინგიდან მივხვდით, დვალისეული სლოგანი ასეთი იქნება: „ჩვენი ტელევიზია არის თქვენი ტელევიზია“, თუმცა ფაქტია: „მათი და ჩვენი“ ტელევიზიის „სტაფს“ დანიშნულ მმართველებთან მუშაობა არ სურს. ნიკა გვარამია აცხადებს, რომ შენობიდან გასვლას არ აპირებს, თანაც არხზე, არაფრის დიდებით, არც კონკურენტი არხის წარმომადგენელს, რეზო საყევარიშვილს შეუშვებს. დანიშნული მმართველები, თავის მხრივ, არხზე შესვლას განჩინების ყველა ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგ აპირებენ. ამასობაში, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი გვარამიას რადიკალიზმს აფასებს. ასე, მაგალითად, თეა წულუკიანის განცხადებით, ვინც კანონს დაარღვევს და სასამართლოს არ დაემორჩილება, კანონით დადგენილი წესითვე დაისჯება. ამ დროისთვის, „რუსთავი 2“-ის მხარემ განჩინება აპელაციაში უკვე შეიტანა. მოკლედ, დაძაბულობა პიკს აღწევს და დავაში ორზე გაცილებით მეტი მხარეა ჩართული. ალბათ, ამდენ აგრესიასა და ურთიერთბრალდებას წერტილი ლოგიკური ფინალის გარეშე ვერ დაესმევა, თუმცა სად არის ეს ლოგიკური ფინალი ანუ გამოსავალი — დაუმორჩილებლობაში, „რუსთავი 2“-ის ფიზიკურად დაცვასა და ქუჩის რადიკალიზმში თუ სამართლებრივ ბრძოლაში? — ყველა იმ უპასუხო კითხვის გათვალისწინებით, რაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ ტრიალებს, „ვერსია“ სწორედ იმის გარკვევას შეეცადა, რა სამართლებრივი გზები არსებობს, რომ პროცესი კონსტიტუციურ ჩარჩოში დარჩეს.

დაარღვია თუ არა მოსამართლე ურთმელიძემ კანონი, დაუტოვა თუ არა რეალურად, „რუსთავი 2“-ს გასაჩივრების, სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელების ბერკეტები და როგორია გვარამიას განცხადების შეფასება კანონის ენაზე, მის მიერ არხის არდატოვების შესახებ? — „ვერსიამ“ ამ კითხვებით იურისტ ლევან ალაფიშვილს მიმართა:

„ორმა — საკონსტიტუციო და საქალაქო სასამართლომ კანონის ორ სხვადასხვა ნორმაზე იმსჯელა. ამიტომ სამართლებრივი კავშირი ამ ორ გადაწყვეტილებას შორის არაა. შინაარსობრივად, ეს გადაწყვეტილებები იდენტური, მაგრამ არასაკმარისია, რათა ორი სასამართლოს გადაწყვეტილება ერთმანეთს შევადაროთ. საქმე ისაა, რომ თუკი ურთმელიძის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს უგულებელყოფაზე ვსაუბრობთ, ნორმა, კანონის კონკრეტული მუხლი უნდა იყოს ერთნაირი. ამ შემთხვევაში კი, იდენტური შინაარსის ნორმების მიხედვით დარღვევა, სამართლებრივად, არ მომხდარა. რაც შეეხება გასაჩივრების შანსს, მოპასუხე მხარე არის არა მხოლოდ „რუსთავი 2“, არამედ წილების დღევანდელი რეგისტრირებული მესაკუთრეებიც. მათ, უფლებრივად, სხვადასხვა სტატუსი აქვთ, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლება არ დაირღვა. ეს განჩინება სასამართლომ კომპანიასთან მიმართებაში გამოიყენა და რა თქმა უნდა, მისი გასაჩივრება კომპანიის წარმომადგენლებს შეუძლიათ. სასამართლო თავად უთითებდა და მსჯელობდა ისეთ საკითხებზე, რაც დავის საგანი არ იყო, მაგალითად, სარედაქციო პოლიტიკა, სამაუწყებლო ბადე, არხის რეორგანიზაცია და ა.შ. გვარამიას განცხადებას კი ერთი პატარა სახალისო მომენტი დაემთხვა: პარლამენტში უკვე დაწყებულია განხილვა საპოლიციო გამოსახლების კანონის შესახებ, რომლის მიხედვითაც, გამოსახლება მხოლოდ სასამართლოს წესით უნდა მოხდეს. უფლებრივად, ამ განჩინებით, გვარამიას კომპანიასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. მას სწორედ ეს უფლება აქვს შეზღუდული, რაც იმას არ ნიშნავს, რომ შეზღუდული აქვს სხვა უფლებაც, რაც განჩინებაში არაა მითითებული, მაგალითად, შენობაში ყოფნის. ამ დაძაბულ ვითარებაში, ამაზე ხალისი ნამდვილად შეიძლება“.

კიდევ ერთი საჩოთირო საკითხი გადაწყვეტილების გამოტანის დრო აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ურთმელიძე განჩინებაზე, რომელიც 18 საათზე გამოაქვეყნა, 23 საათის განმავლობაში მუშაობდა, თუმცა მეორე მხარეს ანუ „რუსთავი 2“-სა და მის რეგისტრირებულ მეწილეებს არ მიაწოდა, რის გამოც დარჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლემ განჩინება „გვიან ღამით“ გამოიტანა. განჩინების შინაარსსა და სხვა სადავო საკითხებზე, მაგალითად, რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულებენ დროებითი მმართველები თავიანთ მოვალეობას არხზე, როცა ერთს არხის წილების პირდაპირი ინტერესი აქვს, მეორე კი კონკურენტი არხის წარმომადგენელია, კვლავ **ლევან ალაფიშვილი** მსჯელობს:

„ბატონმა ხალვაშის განცხადებამ, რომ, თუ პროცესს საბოლოოდ მოიგებს, თავისი წილიდან 50%-ს ერთ-ერთ დროებით მმართველს, დავით დვალს დაუთმობს, სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. უპირობოა, რომ მოსამართლე არ იცნობდა დროებით მმართველად შეთავაზებულ არცერთ კანდიდატს. ეს კანდიდატურები დაცვის მხარემ დაასახელა და მეორე მხარე ინფორმირებული საერთოდ არ იყო. სასამართლოს, მინიმუმ, ეს უნდა უზრუნველეყო და გადაწყვეტილება თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით მიეღო, იქნებოდა ეს კანდიდატის მეორე მხარის მიერ დასახელება თუ შეთანხმება. ასევე მნიშვნელოვანია, დაცვის მხარის აცილების უფლება. ეს მისი კანონითა და კონსტიტუციით დაცული უფლებაა, რაც ფაქტია, დაირღვა. ამ განჩინებაში არც ის ჩანს, როგორ ჩამუყალიბდა მოსამართლეს რწმენა, რომ ეს გადაწყვეტილება უკეთესი იქნებოდა არხისთვის... თავიდანვე ნათელი იყო, რომ ეს, საბოლოო ჯამში, კომპანიის გაკოტრების გზაა. ბოლო, 5 ნოებრის განჩინება რომც არ ყოფილიყო, მანამდეც ჩანდა, რომ ეს პროცესი სერიოზულ გავლენას იქონიებს კომპანიის მატერიალურ მდგომარეობაზე“.

სამწუხარო ტრადიციად გვექცა ისიც, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებას, განმუხტვის ნაცვლად, სხვადასხვა პოლიტიკური ბანაკის განცხადებები უფრო ამძიმებს. მოვისმინეთ ქვეყნის უმაღლესი პირების პოლიტიკურ-ტრაფარეტული შეფასებები, შეთავაზებები ოპოზიციისგან, თეა წულუკიანის სრულიად ახალი ტიპის განცხადება-მოთხოვნა აშშ-ს საელჩოს მიმართ და ა.შ. კიდევ ერთი, რისი განმარტებაც ლევან ალაფიშვილს ვთხოვეთ, ისაა, ეს განცხადებები მხოლოდ პოზისა და პოზიციისთვის კეთდება თუ სასამართლო დავის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, კიდევ არსებობს პროცესებზე ზეგავლენის მექანიზმი. რა ბერკეტები აქვთ ამ ვითარებაში პრეზიდენტს, პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოს და საჭიროების შემთხვევაში, ვის და როგორ შეუძლია მოსამართლე თამაზ ურთმელიძის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის დაწყება:

„მოსამართლის დისციპლინური დევნის დაწყებას თავისი საფუძვლები აქვს. კონკრეტული კანონდარღვევა კი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სწორედ ამის საფუძველზე დგინდება. კანონით, განჩინება ჯერ იმავე ინსტანციაში საჩივრდება, შემდეგ – სააპელაციოში. გადაწყვეტილება კი სააპელაციოს შემდეგ, უზენაეს სასამართლოში მიდის. შემდეგ კი, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ვიდრე განხილვა ყველა ამ ინსტანციაში არ დასრულდება, მოსამართლის კონკრეტულ დარღვევებზე საუბარი ძნელია. სამართლებრივად, პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არაფრის უფლება არ აქვთ და არც რამის შეცვლა შეუძლია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თქვა, იუსტიციის საბჭოს ფორმატში ურთმელიძესთან შეხვედრა შეგვიძლიაო. ეს გაუგებარი განცხადებაა, რადგან გაურკვეველია, რაზე უნდა ისაუბრონ საბჭოს ფორმატში. ალბათ, ეს უბრალოდ, რეაგირების მცდელობა იყო. პრემიერმაც ძალიან ზოგადი, შეიძლება ითქვას, ბანალური განცხადება გაავრცელა. ვიხილეთ იუსტიციის მინისტრის განცხადება, რასაც არც ვიცი, რა ვუწოდო. მან აშშ-ს საელჩოს მოსთხოვა, ერთი კარგად მითხრან, „გვიან ღამით მიღებულ გადაწყვეტილებაში“ რას გულისხმობენო. მგონი, რეალობას აცდენილი განცხადებაა, მით უმეტეს, მოთხოვნის კატეგორიული ფორმით. ამგვარი მიმართვა აშშ-ს კი არა, ქვეყნის შიგნით ნებისმიერი პირის მიმართაც უხერხული მგონია. სტატუსიდან გამომდინარე, ყველაზე დამაკმაყოფილებელი განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა და ორი რამ გამოკვეთა: ამ დავაში მონაწილეობს სასამართლო, რომელიც თავისი ნაჩქარევი და არასაჯარო განხილვით, შესაძლოა, არანეიტრალური აღმოჩნდესო. ეს ორივე მნიშვნელოვანი შეფასება და გარკვეულწილად, აღიარებაცაა. არანაირ სამართლებრივ რეაგირებას არ უნდა ველოდოთ პრეზიდენტისგან, რადგან ამის შესაძლებლობა არ აქვს. უბრალოდ, ძალიან სამწუხაროა, ყველაფერი ეს საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ყოფნისას ხდებოდა. ასე რომ, სამართლებრივად, უკვე არსებობს გადაწყვეტილებები და მოსწონს თუ არა ვინმეს, ვერავინ ვერაფერს შეცვლის — მათ დაცვას კი ისევ კონსტიტუცია გვავალდებულებს. რაც შეეხება პოლიტიკურ განცხადებებს, ვისურვებდი, ასეთი არავის გაეკეთებინა, რადგან, როგორც წესი, ეს ტემპერატურას უფრო წევს და გავლენას მხარდამჭერებზეც ახდენს. ისედაც სამწუხაროა, რომ ეს დავა ორ პოლიტიკურ ჯგუფს — ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებასა შორის მიმდინარეობს და ერთადერთი გონივრული გამოსავალი პროცესების კანონიერ ფარგლებში დატოვება იქნება“.

სხვათა შორის 8 ნოემბერს, ტელეკომპანიის მხარდასაჭერად, „რუსთავი 2“-ის ეზოში „გამოუვალმა მდგომარეობამ“ კონცერტი გამართა.

ვერსიანიუსი

შსს-ს ნარკოტიკების საკითხებში ბრიტანელი ექსპერტი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ნარკოტიკების საკითხებში ბრიტანელ ექსპერტს — მასუდ ჯეოფრეი ამირს შეხვდნენ. ექსპერტის ვიზიტი შსს-ში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის — „მეტი მეტისთვის“ ფარგლებში განხორციელდა. შეხვედრას შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ — საქართველოს შსს-ს აკადემიისა და სსდ — საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლები დაესწრნენ. შსს-ს წარმომადგენლებმა ბრიტანელ ექსპერტს სამინისტროს დანაყოფების ძირითადი ფუნქციები, ჩატარებული სამუშაოები და სამომავლო გეგმები გააცნეს და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების, ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენისა და სხვა საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს. ვიზიტის შედეგად, ბრიტანელი ექსპერტი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების ანგარიშს შეადგენს, რის საფუძველზეც საქართველოს შსს-ს აკადემია შესაბამის ტრენინგ-კურიკულუმებს შეიმუშავებს.

„ვერსიანიუსი“

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ეწვევა

შემფასებელი მისია შეხვედრებს 9 ნოემბრიდან დაიწყებს და ხელისუფლების წარმომადგენლებთან 2 კვირის განმავლობაში იმუშავებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლები შეხვედრებს ტრადიციულად ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და ეროვნულ ბანკში გამართავენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში 21 ნოემბრამდე გაგრძელდება.

„ინტერპრენიუსი“

„პოლიტიკური აქტიორების უმეტესობა ხელსაქვემოთ თამაშობს!“

ირაკლი ტაბლიაშვილი:

„კონკრეტული მღვდელმსახურები პრორუსულ პოლიტიკას აფარებენ!“

ვანო პავლიაშვილი

...თითქმის ყველაფერზე ვილაპარაკეთ — „რუსთავი 2“-ის მოვლენებიდან დაწყებული, გიორგი ანწუხელიძის გმირობით დამთავრებული და მივედით დასკვნამდე, რომ ყველა ან თითქმის ყველა უბედურების სათავე „რუსული ქეისია“... ალბათ, გამოჩნდებიან კრიტიკოსები, ვისთვისაც მზე, უწინდებურად, ჩრდილოეთიდან ამოდის და ვინც მე და არასამთავრობო ორგანიზაციის — „ხმა საქართველოდან“ ხელმძღვანელ ირაკლი ტაბლიაშვილს რუსოფობიაში დაგვადანაშაულებენ, მაგრამ ბატონებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ილია ჭავჭავაძემ „ბედნიერი ერი“ სწორედ მას შემდეგ დაწერა, რაც ქართულ ცნობიერებაზე რუსეთი გაბატონდა! ვიდრე ქვას ისვრით, ისიც გაიხსენეთ, რომ აგვისტოს ომში „ერთმორწმუნე ძმამ“ გიორგი ანწუხელიძე და სხვა ბევრი ქართველი მოგვიკლა!.. მაშ, ასე: „ვერსია“ ირაკლი ტაბლიაშვილის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუსა და ბოლოდროინდელი მოვლენების განსხვავებულ ანალიზს წარმოგიდგენთ...

— ირაკლი, „რუსთავი 2“-ის პრობლემას, როგორც სოციალურ ქსელში წერ, რუსულ კონტექსტში განიხილავ, რატომ?

— მოქალაქეთა ერთ ნაწილს შეიძლება, შეექმნას შთაბეჭდილება, რომ რუსოფობიით ვარ შეპყრობილი, მაგრამ ცხადია, ასეა არაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ეროვნული მოძრაობა ახალი აზვირთულები იყო და მერე, როცა სახელმწიფოებრიობა აღვიდგინეთ, ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ძირეული მოწინააღმდეგე, რასაკვირველია, რუსეთია.

— რუსეთი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი არა, აგერ უკვე 200 წელია გვებრძვის!

— დიახ, ასეა! ბევრი ადამიანი დღესაც ამბობს, რომ მისი ღირებულებათა სისტემა დასავლურს ემთხვევა და მიაჩნია, რომ საქართველო ევროატლანტიკური სივრცის წევრი უნდა იყოს, მაგრამ ერთია სიტყვა, მეორე კი — ქმედება. ბევრ სახელმწიფო უწყებაში, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინიშნებიან ადამიანები (და მათ ვინაობას არ დავაკონკრეტებ), რომელთაც საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეში ვერც კი წარმოუდგენიათ.

— ეს ინფორმაცია მეც მაქვს, მაგრამ კონკრეტულად მიპასუხე: „რუსთავი 2“ ევროატლანტიკური ბასტიონი რატომაა?

— ბასტიონი ხმამაღლა ნათქვამია... ჩვენი განვითარებისთვის მშვიდობა და სიმშვიდე აუცილებელია, რადგან სამოქალაქო დაპირისპირება სწორედ ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შეუშლის ხელს, ამდენად, ყველაფერს, „რუსთავი 2“-ის თუ „გაზპრომის“ ამბავსაც, სიმშვიდის კონტექსტში განვიხილავ. მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება კი სწორედ სიმშვიდეს არღვევს, რადგან არსებობს ადამიანების არცთუ მცირე ჯგუფი, რომელიც ამბობს, რომ „რუსთავი 2“-ს ფიზიკურად დაიცავს და ამ ჯგუფში საკაშვილს არ ვგულისხმობ.

— ჩაგეკითხები: „რუსთავი 2“-ს ფიზიკურად შენც დაიცავ?

— თუ პროცესები ისე განვითარდა, როგორც ვითარდება, მეც კი, რომელსაც ბარიკადების რომელიმე მხარეს ყოფნა სულაც არ მსურს, ხელისუფლება ან პოლიტიკური აქტიორები მაიძულებენ, კანონის ფარგლებში ისე ვიმოქმედო, რომ აზრის, სიტყვისა და კრიტიკის გამოხატვის შეზღუდვა არ მოხდეს.

— ირაკლი, ჩათვალე, რომ „ოცნებელი“ ვარ და გეკითხები: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომელი ხარ და ვინმე გზღუდავს? ესეც რომ არა, წართმეული ქონების დაბრუნება კრიტიკის და, მით უმეტეს, სიტყვის გამოხატვის შეზღუდვა რატომაა?

— იურიდიულ ნიუანსებში არ შევალ, რადგან ამის კომპეტენცია არც მე მეყოფა და, ალბათ, არც შენ, მაგრამ საკითხი ასე დავსვათ: ლუვრში რომ შეიპარო, ჯოკონდა მოიპარო და ასი წლის განმავლობაში შეინახო ან გაყიდო, როგორ გგონია, ასი წლის შემდეგ ის, ვინც ჯოკონდას გამოფენს, კანონიერი მფლობელი იქნება?

— იქნება?

— დიახ, რადგან ესოდენ მაღალი კულტურული მნიშვნელობის ძეგლებზე, როგორც მახსოვს, ასწლიანი კანონი მოქმედებს.

— „რუსთავი 2“-ისა და ჯოკონდას შედარება ძალიან უხეშია...

— ცხადია, უხეშია, მაგრამ კონტექსტუალური და აი, რატომ: 2004 თუ 2005 წელს, ქიბარ ხალვაშისა და ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დაიგეგმა რაღაც კომბინაცია, რომლის შედეგადაც კიწმარიშვილს, დვალსა და აქიმიძეს „რუსთავი 2“ გამოართვეს, წაართვეს ან ჩამოართვეს. ქიბარ ხალვაშის მერე, ტელევიზიამ რამდენიმე, ვიმეორებ, რამდენიმე მფლობელი შეიცვალა და მოგვწონს თუ არა, ძმები ყარამანაშვილები, სამართლებრივად, კეთილსინდისიერ შემსყიდველებად ითვლებიან, რადგან ისინი მე-7 თუ მე-8 მფლობელები არიან. სხვათა შორის, ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი აღარაა და ვერ დაკითხავ; ასევე ვერ დაკითხავ ერთ-ერთ შემდგომ მფლობელ გოგი გეგეშიძეს, რომელიც ასევე გარდაცვლილია... არავის დაუკითხავს, მაგალითად, ირაკლი ჩიქოვანი ან ბევრი ის აქტიორი, რომელიც „რუსთავი 2“-ის ეპოპეის განმავლობაში ტელევიზიის მფლობელი, თანამფლობელი ან მენეჯერი იყო. როგორც ვიცი, ნიკა ტაბატაძეც არავის გამოუკითხავს, ამიტომ ეს პროცესი პოლიტიკურ შეფერილობას იღებს.

რაც შეეხება კითხვის პირველ ნაწილს, დიახ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომელი ვარ და რომ არ ვიზღუდები, ძალიან კარგია, მაგრამ ეს ჩემი შეუზღუდაობა არ ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებაში ქვეყანაში პრობლემები არაა. „რუსთავი 2“-თან შედარებით ირაკლი ტაბლიაშვილი მომცროა და მისი თავისუფლების მაღალი ხარისხი სულაც არაა დასტური, რომ პრობლემები ქვეყანაში არ არის. აქვე აღვნიშნავ, რომ ახლა ვსაუბრობ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის, არამედ, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ხმა საქართველოდან“ ხელმძღვანელის სტატუსით. რაც შეეხება კითხვის მთავარ არსს — ურთმელიძის მიერ „რუსთავი 2“-ის კანონიერ მფლობელად გამოცხადებული ბატონი ხალვაში 2015 წელს გააქტიურდა და იმ ადამიანებს, ვისაც „რუსთავი 2“ ეზიზღება, ვეკითხები: სად იყო ბატონი ხალვაში 2013 ან 2014 წლებში?

— როგორც ხალვაში ამბობს, პროკურატურას სამი წლის წინ მიმართა...

— შეიძლება, მაგრამ პროცესი, თუ არ ვცდები, წელს, მაისში ან ივნისში გააქტიურდა და „რუსთავი 2“-ის დღევანდელი „ქეისი“ ძალიან მნიშვნელოვანი სწორედ წინასაარჩევნო კონტექსტშია. ადრეულ პერიოდში ნიკა გვარამიას იშვიათად ან საერთოდ არ ვეთანხმებოდი და ახლაც, შეიძლება, ბევრი სადავო მქონდეს, მაგრამ მის ერთ განცხადებას სრულად ვიზიარებ.

— რომელ განცხადებას?

— 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის, დედაქალაქის მერის არჩევნებში, „რუსთავი 2“-ის მიერ შეკვეთილი ეგზიტპოლი ყველაზე რეალისტური იყო და ცესკო-ს შედეგებს ყველაზე მეტად ემთხვეოდა. სხვათა მიერ ჩატარებული ეგზიტპოლით კი, ბატონი ნარმანია მერად პირველივე ტურში გამოცხადდა. მე, როგორც რიგით მოქალაქეს, ის ტელევიზია მჭირდება, რომლის ეგზიტპოლიც მაღალი ცესკო-ს შედეგებს დაემთხვევა...

წარმოვიდგინოთ, რომ „რუსთავი 2“-ის ხალვაშისთვის საბოლოოდ გადაცემის შემდეგ ყველა ერთ ხმაში ლაპარაკობს და ყველაფერი, უკაცრავად რუსული სიტყვისთვის, „პრავდება“ ანუ ყველაფერი ისეა, როგორც დღევანდელ მმართველ ძალას სურს. ეს ისეთივე კატასტროფული იქნება, როგორც გასულ წლებში იყო. ყოფილ ხელისუფლებას, მაგალითად, „მაესტროს“ „ქეისის“ გამო ვებრძოდით და ვაკრიტიკებდით, როცა მოქალაქეებს რეგიონებში ყველა მაუწყებლის ყურების საშუალება არ ჰქონდათ. ასევე, ვაკრიტიკებდით იმ ფატალური შეცდომისთვის, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს დაუშვა.

— ისე, ნოემბერი, აპრილისა არ იყოს, საქართველოსთვის ფატალურია...

— (იღიმება) არ ვიცი, მიხეილ ცაგარელი რამდენად დამეთანხმება, მაგრამ როგორც ჩანს, ნოემბერი მძიმე თვეა.

— მაინც ვერ გავიგე, ყველაფერ ამაში რუსული კვალი სადაა?

— სად და, გარდა იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება იზღუდება, დეკლარირების მიუხედავად, ისე არ ვმოქმედებთ, როგორც დასავლეთში მოქმედებენ. ყველაფერი, რაც არადემოკრატიული, არალიბერალური და არაგამჭვირვალეა, რუსულია!

— სასამართლოს მიერ ღამე ან შებინდებისას მიღებული გადაწყვეტილებაც რუსულია?

— რასაკვირველია... ბატონ ურთმელიძეს ან რომელიმე სხვა პირს ვერ დავადანაშაულებ, რომ მოსკოვში გადაფრინდა, ლუბიანკაზე, დერჟინსკის კაბინეტში ხელი რამე ხელშეკრულებას მოაწერა და გადაწყვეტილება ასე მიიღო, მაგრამ ნებისმიერი უკანონო ან არამართლზომიერი გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო მშვიდობას უშლის ხელს, რუსული პროექტია. მაგალითად, „გაზპრომმა“ კუბ.მეტრი გაზი ერთ დოლარადაც რომ მოგვცეს, რაც „სოკარზე“ იაფი გამოვა, მაინც რუსული პროექტი იქნება, რადგან „გაზპრომის“ მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში განხილვა არ შეიძლება — ეს პოლიტიკური საკითხი და საქართველოს რუსულ სივრცეზე მიბმაა!

— გეთანხმები, მაგრამ ირაკლი, ამ მოვლენებს სხვა კუთხითაც შევხედოთ: ამბობენ, რომ ივანიშვილის აქტივების უდიდესი ნაწილი ამერიკულ ბანკებშია. შესაბამისად, ცივილურ მსოფლიოსთან დაპირისპირება უღირს?

— ივანიშვილის კაპიტალი სხვადასხვა კომპანიაშია დივერსიფიცირებული. ზუსტი ციფრი არ მახსოვს, მაგრამ, როცა პრემიერი იყო, დეკლარაცია შეავსო, რომლის ზედაპირული მონიტორინგი მეც მოვახდინე და ვიცი, რომ Google-ის აქციებიც აქვს. სხვათა შორის, ამ დეკლარაციაში, რამდენადაც მახსოვს, „გაზპრომის“ აქციები არაა, ამიტომ პირადად მე ივანიშვილზე საუბრისას „გაზპრომის“ აქციები არასოდეს მიხსენებია.

— ესე იგი, Google-ის აქციები ხაზს ყოფილი პრემიერის პროდასავლურობას უსვამს, არა?

— არა, რადგან მაგალითად, „ჩელსის“ აქციები აბრამოვიჩის პროდასავლურობას არ ნიშნავს... ხოლო უსმანოვის აქტივები დასავლეთში სულაც არაა იმის დასტური, რომ ეს უკანასკნელი დასავლური ყაიდის ბიზნესმენია.

— შეიძლება, მაგრამ ნაცმოძრაობა ივანიშვილის პრორუსულობის, ასე ვთქვათ, სამხილად სწორედ „გაზპრომის“ აქციებს იშველიებს...

— ნაკლებად საინტერესოა ნაცმოძრაობის აზრი, დამოუკიდებლად იმისა, რელევანტურია თუ არა მათი განსაკუთრებით ბოლოდროინდელი შეფასებები.

გაცილებით საყურადღებოა სხვა რამ — მნიშვნელობა არ აქვს, ბრაზილიის პლანტაციებს აკონტროლებ თუ Google-ის ვთქვათ ერთ პროცენტს, მთავარი საკითხისადმი მენტალური დამოკიდებულებაა. გოგი თოფაძეც ქართული ბიზნესის წარმომადგენელია — ჩემი აზრით, ცუდ, მაგრამ ქართულ ლუდს ასხამს, თუმცა თოფაძის, როგორც სხვა ბევრის პრობლემა, საკითხებისადმი მენტალური დამოკიდებულება და იდეალიზმისა და პრაგმატიზმის ურთიერთმიმართებაა. სამწუხაროდ, მოქალაქეების ნაწილს და ივანიშვილსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს — რაც ვართ, ეს ვართ და არ შეიძლება, ამაზე მეტი თუ უკეთესი ვიყოთ; არ შეიძლება, ამაზე უკეთესი ეკონომიკა გვქონდეს ან ამაზე კარგ ლექსს ვწერდეთ... არ შეიძლება... მაგრამ ყველანი, ვინც მომავალზე ვართ ორიენტირებულნი, უნდა ვცდილობდეთ, უკეთესი ეკონომიკა შევქმნათ ან ვთქვათ, უკეთესი ლექსი დავწეროთ, რადგან უკეთესის მიღწევაა პროგრესი და ეს ყოველთვისაა შესაძლებელი.

შეიძლება, გამძაფრებული და ჰიპერბოლიზებულია, მაგრამ სოციალურ ქსელში დავწერე: ჩვენ სიზიფეს ვგავართ, რომელიც მწვერვალისკენ ლოდს მიაგორებს, რომელიც უგორდება და, ღმერთებისგან დასჯილი, აღმართს ხელახლა აუყვება. ეს იმ კონტექსტში დავწერე, რომ მომავალი თაობისთვის ამთავითვე მომებოდიშებინა, თუ კი ჩვენმა თაობამ ეს ლოდი ბოლომდე ვერ აიტანა.

ამ ლოდის ატანა მხოლოდ ევროატლანტიკური ინტეგრაცია არაა!!! ეს ლოდი ქვეყნისა და პიროვნული კეთილდღეობის მიღწევაა. კეთილდღეობისა აქ და ახლა!

— ირაკლი, რა ამის პასუხია და, ბოლო წლებია, ქართული პოლიტიკა პირადი ცხოვრების კადრებზე ტრიალებს. შენი აზრით, „პორნოკრატიისკენ“ მიდრეკილება რატომ გვაქვს? სხვათა შორის, „პორნოკრატია“ ნიკა გვარამიას ტერმინია...

— ვანო, მძიმე რეალობა აღწერე... წინა არჩევნებმა კადრების ფონზე ჩაიარა და ყველა, მათ შორის მეც აღვშფოთდი. ვიღაცამ შეიძლება, გადაჭარბებულად ჩათვალა, მაგრამ საბოლოოდ, საზოგადოებამ გადაწყვეტილება სწორედ იმ კადრების მიხედვით მიიღო და მართებულადაც მოიქცა არა მხოლოდ ემოციური თვალსაზრისით — ეს საკითხი პრაგმატულ ჭრილში უნდა განვიხილოთ — ხელისუფლება არჩევნების გზით პირველად შეიცვალა, რაც იგივე ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით მართებულად გადადგმული ნაბიჯია. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მუდმივად „პორნოკრატიის“ რეჟიმში ვიცხოვროთ. იმ აზრისგან, რომ მომავალ არჩევნებზე პროგრამების შეჯიბრი წავა, შორს ვარ, მაგრამ

ერთმანეთის წინააღმდეგ, კომპრომატების სახით, ფარული ჩანაწერები მაინც აღარ უნდა დაიდოს; მით უმეტეს, ყველაფერ ამის განზოგადება არ უნდა მოხდეს. ერთიცაა — თუკი ვინმეს რამე უნდოდა, კადრების განადგურებამდე თუ ფორმალური განადგურების მერე, სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღეძრა და კონკრეტული დამნაშავეები დაესაჯა. რეალობა კი დღეს სხვაა — ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათი ნაწილი არათუ დასჯილი, დაწინაურებულიცაა, რაც დიდი, კონცეპტუალური კატასტროფაა! ვიდრე კონკრეტული და კოლექტიური ბედუკაძეები არ დაისჯებიან, ამ კუთხით არაფერი გამოსწორდება!

— მაინც, როგორ გგონია, ჩვენებური პოლიტიკა სექსის გარშემო რატომ ტრიალებს?

— დაბალი კულტურისა და ერთმანეთის სიძულვილის გამო — განსხვავებული აზრის მიმღებლობა არ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანების დიდ ნაწილს.

— ესეც 200-წლოვანი რუსული „ქეისია“?

— (ფიქრობს) ამ რთულ კითხვაზე პასუხი რომ გაგცე, ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ ან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ უნდა გავიხსენო, რომელიც ბუნებრივად მას შემდეგ დაიწერა, რაც საქართველოში რუსეთი შემოვიდა. რუსეთმა, გარდა აწმყოს ცვლილებისა, ჩვენი გენეტიკური მეხსიერებაც დაანგრია, მათ შორის, ძალმომრეობითაც. ოპონენტის დასამარცხებლად „წელსქვემოთ თამაში“ გაუნათლებლობისა და უკულტურობის ნიშანია და რუსეთის მიერაა თავსმოხვეული. ხომ ფაქტია, პოლიტიკური აქტიორების უმეტესობა დღესაც წელსქვემოთ თამაშობს... შესაბამისად, ყველა მათგანი თამაშობს რუსულ თამაშს.

— არადა, მუდამ ვამაყობთ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. ლეგენდებს ეგებ, ჩვენი კომპლექსების დასაფარად ვქმნით და ქართველები „კარგები“ სულაც არ ვართ?

— შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოება მესიანისტური იდეის ტყვეობაშია და ხშირად ფუჭი წარმოდგენა გვაქვს, რომ ჩვენი სულიერი მისია მაინცდამაინც იოანე ზოსიმეზეა დაფუძნებული. ასევე ვართ ტყვეობაში სისულელისა, რომ ყოველი ერის განკითხვა ქართულ ენაზე უნდა მოხდეს! არადა, თვალი უნდა გავუსწოროთ — პრობლემები რეალურად ყველა საუკუნეში გვქონდა და გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, ერთიანი სახელმწიფოებრივი სხეული არ გვქონია. მე-19 საუკუნეში ჩვენი თავადები, იასე ფალავანდიშვილი და სხვები ამ ქვეყანას ყიდდნენ. შადიმანის სინდრომი ყველა ეპოქაში არსებობდა და დღესაც არსებობს. არ მინდა, მჯეროდეს, რომ ასეთები ბუნებით ვართ და უკეთესი იქნება, თუ ჩვენი ისტორიიდან ცოტნე დადიანის ან ამბროსი ხელაიას მაგალითებს წამოვწევთ.

— შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი თანამედროვე გიორგი ანწუხელიძის გმირობაც ხშირად უნდა გავიხსენოთ!

— რასაკვირველია! ისე, კომპლექსებსა და მინუსებზე ყურადღების გამახვილება მაინცდამაინც არ მიყვარს...

რამდენიმე წლის წინ, ვაშინგტონში, ვიეტნამის ომის მონუმენტი ვნახე — იანკი, აფროამერიკელი და წითელკანიანი თვითმფრინავს ერთად ელოდებიან. გიდს ვკითხე, ეს ხომ ტყუილია-მეთქი? მიპასუხა, დიახ, ტყუილია — ისინი ერთად არ იბრძოდნენ, მაგრამ ამით ისტორიას ვქმნით, რადგან 150 წლის შემდეგ, მოქალაქეები ამ მონუმენტს უფრო დაუჯერებენ, ვიდრე — არწაკითხულ ისტორიის სახელმძღვანელოსო.

— ჩვენთან სტალინის ძეგლების დადგმა-აღდგენა ისევ აქტუალურია. მაშასადამე, 150 წლის შემდეგ, ადამიანები არწაკითხულ ისტორიის სახელმძღვანელოს კი არა, სტალინის ძეგლებს დაუჯერებენ, არა?

— დიახ.

— ესე იგი, სტალინის „გაცოცხლება“ მიზანმიმართულად ხდება?

— არა, უფრო გაუცნობიერებლად.

— ყველა კაბინეტში ბელადის ფოტოს ჩამოკიდებას თოფაძეც გაუცნობიერებლად ითხოვს?

— ვანო, გგონია, გაცნობიერებული აქვს და შინ სტალინის სურათი უკიდია? თუ კონკრეტულად თოფაძეზე ვილაპარაკებთ, მას მენტალური პრობლემა აქვს, რაც ასაკით კი არა, იმ ცხოვრების წესით აიხსნება, რომლითაც თოფაძე და, საერთოდ, საბჭოთა პერიოდში წარმატებულ პირებად ჩამოყალიბებული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს.

— ირაკლი, დღეს საქართველო გაურთმელიძევდა თუ გათოფაძევდა?

— ერთი მეორეს რატომ გამორიცხავს?! ისე, ნათელი წერტილებიც არსებობს, მაგალითად, ანწუხელიძე, რომელიც რაოდენობრივად შეიძლება, ვერ ფარავს, მაგრამ კოლექტიურ თოფაძე-ურთმელიძეს მაინც სძალავს.

— „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია იმასაც ხომ არ ემსახურება, რომ ანწუხელიძისა და სხვა გმირების წინა პლანზე წამოწევა არ მოხდეს?

— კარგი კითხვაა... არ მინდა, ასე ვიფიქრო, თუმცა არ გამოვრიცხავ... ანწუხელიძეებზე საუბრის მინავლება და გაიშვიათება, განცობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, შეიძლება, ვიღაცის ინტერესშია. ამ ვიღაცის კოლექტიური სახელი რუსეთი და მის მიერ მართული მოთამაშეები არიან.

რამდენიმე ხნის წინ გავეცანი კვლევას, რომლის მიხედვითაც, რუსეთიდან „ქეშად“ ძალიან დიდი თანხა შემოდის და ჩვენს „კოლეგებთან“ მიდის.

— ეს მედიაბაზარსაც ეტყობა...

— ამ ფულით დაფინანსებული მედიის მონიტორინგი რომ გავაკეთოთ, წლების განმავლობაში, ერთ ან კოლექტიურ ანწუხელიძეზე ერთი სიტყვა მაინცაა ნათქვამი?

— სხვათა შორის, თავის დროზე ირაკლი ალასანია გამოვიდა ინიციატივით, რომ მედიაში რუსული ფულის ჩადება კანონით აიკრძალოს, რის გამოც ბევრი დაუპირისპირდა, ეს რა დემოკრატიააო... ირაკლი, მე თუ მკითხავ, მედია „ევრაზისტების“ ტირაჟირებისგან თავს უნდა იკავებდეს...

— მეც მომხრე ვარ, რომ ავამოქმედოთ ან მივიღოთ მსგავსი კანონი, როგორიც თავის დროზე ბალტიისპირეთში მიიღეს და რომლითაც რუსული პროპაგანდა გარკვეულწილად შეიზღუდება.

— ირაკლი, რუსეთუმეები ხშირად ამბობენ, დასავლეთი, განსაკუთრებით აშშ ქართველობას გვართმევს და გვრყვნისო...

— 2009-2010 წლების შემდეგ, რუსეთმა საქართველოს და სხვა ქვეყნების მიმართ სრულიად ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რაზეც ევროპის ყველა სახელმწიფო ჩივის.

— ეს ახალი სტრატეგია რაში გამოიხატება?

— მითების თავსმოხვევაში... ჰიბრიდულ და კიბერომებში. მაგალითად, არსებობს ასეთი მითი, რომ დასავლეთი ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ებრძვის. სად იყო ნატო და ევროკავშირი, როცა ყინწვისის მთავარანგელოზს სოკო შეეპარა. მახსოვს, რუსი ექსპერტები ჩამოვიდნენ, რათა სოკოს გავრცელების პროცესი შეეჩერებინათ, ვერაფერს გახდნენ და ვიდრე ევროკავშირელი ექსპერტები არ გვესტუმრნენ, პრობლემა ვერ მოგვარდა. ეს თვალსაჩინოება ერთგვარად ამსხვრევს მითს, რომ ევროკავშირი ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას სპობს. თუკი ვინმე ჩვენს კულტურასა და მემკვიდრეობას ებრძვის, ისევ და ისევ ხსენებული რუსეთია... დასტური? საქართველოში რუსული ხახვისთავა ეკლესიების აგებაც კი საკმარისია!

— რუსული მითების დამკვიდრებას ხელს რაღაცნაირად ეკლესიაც ხომ არ უწყობს? ასე, მაგალითად, ზოგიერთი სასულიერო პირი მანიშნებს, რომ დასავლეთი საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას უბიძგებს...

— ჯერ ერთი, ტყუილია, რომ დასავლეთი ერთსქესიანთა ქორწინებას გვახვევს! ევროპის სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებული არაა;

მეორეც, ცალკეული პრორუსული ქადაგება პრობლემა არ იქნებოდა და ყველა პატიოსანი ადამიანი ეცდებოდა, მისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ, როცა ეს ტენდენციის სახეს იღებს, ბუნებრივია, კრიტიკოსებს უჩნდებათ საფუძველი,

ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, ისე გააკრიტიკონ. თეოლოგიაში არ გადავალ, მაგრამ მოზომილად ვიტყვი: ქრისტეს მოძღვრება და ამბიონიდან ბევრი მოძღვრის ქადაგება ერთმანეთთან კავშირში არაა! ცხადია, იმ საეკლესიო პირებს არ ვგულისხმობ, ვინც ქვეყნისა და ერის სადარაჯოზე დგას.

— ანუ ესეც რუსული სცენარია?

— დიახ, მაგრამ, სხვების არ იყოს, არც კონკრეტული მღვდელმსახურები არიან ნამყოფნი დერჟინსკის კაბინეტში, თუმცა, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ!

და კიდევ — ერთია ღია პროპაგანდა, რომელსაც მედიით ეწევიან, მაგრამ მეორეა იმგვარი კონტენტის ან სანახაობის შექმნა, რომელიც დასავლურობასთან კავშირში არაა. დასავლურობა, ყველაფერთან ერთად, ცხოვრების წესიცაა. თოქ-შოუებს არ დავასახელებ, მაგრამ ის, რომ მჩხიბავებზე პოლიტიკურ კონტექსტში ვლაპარაკობთ და ყველა ჩვენს მინუსსა თუ პლუსს რაღაც ეზოთერულ მოვლენებს ვუკავშირებთ, მომიტევეთ და, რუსული სცენარია.

სხვათა შორის, რუსების ე.წ. ტროლების არმია დაახლოებით, 70 ათას ადამიანს ითვლის. ეს ადამიანები სხვადასხვა ქართულ, უკრაინულ, ესტონურ თუ ამერიკულ ვებგვერდზე მითებს ავრცელებენ. ნატო-ს მე-5 მუხლი კოლექტიურ უსაფრთხოებას ეხება, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ჩამოყალიბდა, ბუნებრივია, ვერ გაითვალისწინებდა, რომ ინტერნეტი შეიქმნებოდა და რუსეთი ამგვარ კიბერშეტევებს განახორციელებდა.

— მაშასადამე, გამოსავალი არ არსებობს?

— სიზიფე ვახსენე და ჩვენი გამოსავალი მხოლოდ ის კი არაა, მწვერვალს მივაღწიოთ, არამედ, ლოდი მუდმივად ხელში უნდა გვეჭიროს და სიმაღლეზე დაუღალავად ავდიოდეთ!

— იმ შემთხვევაში, თუკი „რუსთავი 2“-ის გარშემო შექმნილი მოვლენები რაღაცნაირად სამოქალაქო დაპირისპირების სახეს მიიღებს...

— (სიტყვას მაწყვეტინებს) ეს კატასტროფა იქნება...

— 90-იანი წლები განმეორდება?

— 1991 წლის 2 სექტემბერს, კინოსახლთან სპეცრაზმელი ზოდელავა დაიჭრა და, ოპტიმისტი ადამიანების თქმით, ეს მძიმე შემთხვევა საქართველოს არაფერს უქადდა, მაგრამ ოთხ თვეში სახელმწიფო გადატრიალების გზაზე დავდექით და ქვეყანა დავანგრიეთ. სამოქალაქო დაპირისპირება მერეც გაგრძელდა, როცა მის ჩასახშობად შევარდნაძემ დასავლეთ საქართველოში ბალტინის ჯარი შემოიყვანა, რაც არამართლზომიერი ქმედება იყო. მოვლენების ასე განვითარებას არ ვწინასწარმეტყველებ...

— მაშინ ბალტინის ჯარი იყო, ახლა „გაზპრომია“...

— კი ბატონო... სამოქალაქო დაპირისპირება ამ ქვეყანას უკან მნიშვნელოვნად მხოლოდ იმიტომ კი არ დახევს, რომ რაღაც დაინგრევა — რადგან ის, რაც დაინგრევა, აშენდება კიდეც.

... მაგრამ მთავარია – მოისპობა პერსპექტივა. შესაბამისად, ის ჭუჭრუტანა, საიდანაც შეიძლება, ევროპაში, ევროატლანტიკურ სივრცეში შევძვრეთ, კარგა ხნით დაიხშობა და დეკლარირება — ნატო-სკენ მივდივართ და ალიანსს ვიმსახურებთო — ერთის მხრივ, იქნება ტყუილი, ხოლო მეორეს მხრივ — დროის აბსოლუტურად ფუჭი ხარჯვა.

— შეიძლება, შეთქმულების თეორიაა, მაგრამ ვარშავის სამიტის წინ სიტუაციის ესკალაცია მიზანმიმართულად ხომ არ ხდება?

— ცხადია, სიონისტურ შეთქმულებაზე ან მასონთა მიერ პროცესების მართვაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ მჯერა, რომ მოვლენები სცენარების მიხედვით ვითარდება. არსებობს რამდენიმე დაწერილი სცენარი და ამ სცენარის რამდენიმე ვარიაცია, რომელშიც ჩვეულებრივ აქტივისტსაც კი, რომელიც კვერცხს გაუცნობიერებლად ისვრის, თავისი როლი აქვს. იმ ადამიანებს, ვინც პოლიტიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ სხვას კვერცხის სროლას ავალდებულებენ, რა გარანტია აქვთ, რომ ვინმე, კვერცხთან ერთად, „მოლოტოვის კოქტეილსაც“ არ ისვრის? სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში, უამრავი პროვოკატორი, რომელიც რუსეთთანაა დაკავშირებული, ყველაფერს გააკეთებს, რომ ქვეყანაში ვითარება აირიოს და მერე მტყუან-მართლის გარჩევა — პირველად ვინ რა თქვა და ვინ რა შეცდომა დაუშვა, ძალიან რთული იქნება. სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა კარგა ხნით ჩაიკეტება. „რუსთავი 2“-ის ამბებიც სწორედ ამ ჭრილშია განსახილველი, რომ ამასობაში, შეიძლება, სამოქალაქო მშვიდობა შემოგვერღვეს!

— სამოქალაქო მშვიდობის შემორღვევის ნიშნებს ხედავ, ირაკლი?

— დიახ... ქვეყანაში კომპრომისის ხელოვნება, მექანიზმი არ არსებობს და ყველაფერი გაშავთეთრებულია! პატარა ღიობია დარჩენილი, რომ იმ თაობამ, რომელიც საბჭოთა კავშირში არ დაიბადა, რუსეთის, როგორც „კულტუროლოგიური სივრცის“ გარეშე, ნორმალურად იცხოვროს. მხოლოდ „რუსთავი 2“-ის კი არა, თავის დროზე „იმედში“ შეჭრის საკითხსაც ამ კონტექსტში განვიხილავდი...

ახალი სკოლები ლამბალოსა და იორმუღანლოში

განათლების სამინისტრო ახალი სკოლების მშენებლობასა და რეაბილიტაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სოფელ იორმუღანლოში თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლა გაიხსნა, რომელიც დღეს 1163 მოსწავალეს ემსახურება. ექსპლუატაციაში შევა სოფელ ლამბალოს სკოლაც, სადაც წინა ხელისუფლების დროიდან მოყოლებული, მოსწავლეები უკიდურესად შეუფერებელ გარემოში, ფაქტობრივად, ბოსელში სწავლობენ. თუმცა, თანამედროვე სასწავლო რესურსებით აღჭურვილ და კომფორტულ გარემოში სულ მალე ლამბალოშიც სწავლას 1000-ზე მეტი, ძირითადად, არაქართულენოვანი მოსწავლე გააგრძელებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ახალ ხელისუფლებას ყველაზე ცუდი მდგომარეობა სკოლების ინფრასტრუქტურის კუთხით დახვდა. ეს პრობლემა რომ არა, განათლების სისტემა ბევრად წინ იქნებოდა არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მიმართვის, არამედ დროის კუთხით.

მარტო ახალ სასწავლო წელს, საქართველოს სოფლებში, სადაც ბავშვებისთვის არათუ კარგი, ნორმალური სასწავლო გარემო სანატრელი იყო, არაერთი თანამედროვე სკოლა გაიხსნა. კერძოდ, ხოვლეში (კასპის მუნიციპალიტეტი), სამღერეთში (თეთრიწყარო), წილკანში (მცხეთა), მუხრანში (მცხეთა), ბუღაშენში (ახალქალაქის), სვირში (ზესტაფონის), აბანოში (ქარელი), წიფნარში (ჩოხატაური) ზედა ვანში და ა.შ.

იორმუღანლოს ახლადგახსნილი სკოლაც, რომლის მშენებლობაც ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაჯდა, ერთ-ერთი საუკეთესოა. **ხათუნა ჭეშურაშვილი** იორმუღანლოს საჯარო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად 2009 წლის სექტემბრიდან მუშაობს: **„მახსენდება ჩემი პირველი განცდა, რომლებიც სკოლის ნახვისთანავე დაიწყო. ძნელი, ძალიან ძნელი იყო მანავის სკოლის შემდეგ იორმუღანლოს სკოლაში მუშაობა — სკოლის სამსართულიანი შენობა ძალიან ძველი, გვერდით, ზედმეტი სხეულივით კიდევ უფრო ძველი ორსართულიანი შენობა... შიგნით, პატარა, ვიწრო, ბნელი ოთახები, ფანჯრებით სამხრეთიდან... ნებისმიერ ამინდში დამაბრმავებელი შუქი ეცემოდა დაფაზე და მოსწავლეები მოუსვენრები იყვნენ იმის მცდელობაში, როგორმე დაენახათ დაფაზე ნაწერი... ცუდი ეზო, ვაისაპირფარეშო... ქარის შიში, რომელიც შლეგიანივით უბერავდა ოთახებსა და კორიდორებში თითქმის მთელი ზამთარი“,** — იხსენებს პედაგოგი და იმასაც გვიმხელს, რომ ახალი სკოლით ყველა გახარებულია: **„ჯერ სკოლის ძველი შენობა გარემონტდა. შეიცვალა კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა გათბობის სისტემა, განახლდა სასკოლო ინვენტარი. რაც მთავარია, აშენდა ახალი სამსართულიანი, დიდი და ნათელი კორპუსი. შენდება ყველაფრით უზრუნველყოფილი, ევროსტანდარტების შესაბამისი საპირფარეშო, შემოიღობება და კეთილმოეწყობა ეზო და სპორტული მოედანი. უღრმესი მადლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს“.**

სკოლის მოლოდინში არიან ლამბალოელი მოსწავლეები და მასწავლებლებიც. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **რუსუდან დუჩიძე** მიიჩნევს, რომ დღეს ყველაზე საჭირბოროტო საკითხი სკოლების ინფრასტრუქტურაა. ეს პრობლემა მათ, სრულიად სოფელს, მოსწავლეებსა და პედაგოგებს, წლების განმავლობაში აწუხებდათ, მაგრამ უკვე დაძლიეს — ლამბალოს სკოლის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, მალე დასრულდება და მალე მის საჯაროდ გახსნას ყველა ერთად იზეიმებს.

„აქ, როგორც სხვა სკოლებში, სწავლობენ მოსწავლეები და მუშაობენ პედაგოგები. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ სკოლის შენობა, უბრალოდ, არ არსებობს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაქირავებულ კერძო ბინებში, რომელიც იმ მოთხოვნებისთვის ყოვლად შეუფერებელია, რომლებსაც განათლების სისტემა უყენებს ნებისმიერ მასწავლებელსა და მოსწავლეს. წლების განმავლობაში იყო მრავალი დაპირება, რომ სკოლა მალე აშენდებოდა და 1 სექტემბერს სკოლის კედლებში ვიზეიმებდით, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა და ჩვენი თხოვნა, ზეპირი თუ წერილობითი, რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. 8 წლის განმავლობაში მოსწავლეები და მასწავლებლები კვლავ უბრუნდებოდნენ იმავე გარემოს, რომლის დანახვა უკვე აღარ უნდოდათ და აღარ უხაროდათ.

მთელი ჩვენი რაიონი, სოფელი, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები მოლოდინით შევცქერით დამთავრების სტადიაზე მყოფ სკოლის შენობას და მოუთმენლად ველოდებით მშენებლობის დასრულებას. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებს ისე უხარიათ, ერთ-ერთმა მოსწავლემ ქართული სიმღერა თბილისზე ამ სკოლას მოარგო...

მიმაჩნია, რომ მოსწავლისთვის სკოლა უნდა იყოს საყვარელი ადგილი, სადაც თანდათანობით მოხდება მისი ზრდა-განვითარება და შემდგომში, მისი მოქალაქედ ჩამოყალიბება. მჯერა, სულ მალე, ლამბალოს საჯარო სკოლა, რომელშიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეები სწავლობენ, ერთ-ერთი წარმატებული იქნება, არა მხოლოდ ჩვენს რაიონში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მის კოლექტივს და საერთოდ ყველას, ვინც იზრუნა და საკუთარი წვლილი შეიტანა სკოლის მშენებლობის საქმეში, რათა ჩვენი მომავალი თაობა ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს და სწავლობდეს“, — აცხადებს რუსუდან დუჩიძე.

რაც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უწყებაში აცხადებენ, რომ მომავალში, კიდევ ათობით სკოლის მშენებლობა და ასობით სკოლის ინფრასტრუქტურული პროექტებია დაგეგმილი.

ვერსიანიუსი

შს მინისტრი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სამინისტროს სპორტული კლუბის წევრებს შეხვდა, რომლებმაც საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩატარებულ ჩემპიონატებზე წელს განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს და ჩემპიონები გახდნენ.

დათა ქაჯაიას, გიორგი ბერძენიშვილს, ალექსი დავითაშვილსა და ვარლამ ლიპარტელიანს მინისტრმა გამარჯვება პირადად მიულოცა, მათ მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა: **„დანაშაულის პრევენციის, ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პირობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაციაა, ამიტომ ყოველთვის მხარს ვუჭერთ სპორტს და მის განვითარებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული კლუბები ბევრ გამარჯვებასა და მიღწევას ითვლიან. მოხარული ვარ, რომ დღევანდელი დღის გმირები სამინისტროს თანამშრომლები არიან, რომლებმაც ჩვენი უწყებისა და ქვეყნის სახელი მთელ მსოფლიოში გაიტანეს და სპორტის სხვადასხვა სახეობაში პირველები, ჩემპიონები გახდნენ. დიდი მადლობა თქვენ — ჩვენს თანამშრომლებს — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს, ამ სულისკვეთებისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი პოლიციელები ასახელეთ და საერთაშორისო შეჯიბრებებში საქართველოს დროშა მაღლა ასწიეთ!“** — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის წევრმა ვარლამ ლიპარტელიანმა, პარიზში, 90 კგ წონით კატეგორიაში გრან-სლემი მოიგო; სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფიზიკური მომზადების განყოფილების თანამშრომელი ალექსი დავითაშვილი ისრაელში, არშდოში ვეტერანთა შორის სამბოს მსოფლიო ჩემპიონი გახდა; შსს-ს სპორტული კლუბის MIA FORCE-ის მრბოლელი, უფროსი ლეიტენანტი დათა ქაჯაია იტალიაში, ევროპის ჩემპიონი გახდა; შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომელმა, ვიცეპოლკოვნიკმა გიორგი ბერძენიშვილმა მსოფლიო ჩემპიონატში ტრიატლსა და ბიატლში 1 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა. შეხვედრის შემდეგ გიორგი მღებრიშვილმა გამარჯვებულ სპორტსმენებს მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ სკოლებში უსაფრთხოების ახალი პროექტი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ თბილისში პროექტის „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უსაფრთხო სკოლისთვის“ განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში, ორი თვის განმავლობაში თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოში 800-მდე მანდატურსა და პედაგოგს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლები სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიულ სწავლებას ჩაუტარებენ. სწავლების მიზანია, მსმენელები დაეუფლონ სამოქალაქო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის თეორიულ საკითხებს. ისინი ეტაპობრივად ჩაერთვებიან სხვადასხვა სკოლაში დაგეგმილ სიმულაციურ სწავლებებში, რის შედეგადაც საგანგებო სიტუაციებში საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ, რაც მოსწავლეების უსაფრთხოებას ისახავს მიზნად. პირველი ტრენინგი მთავარ სამმართველოში თბილისის სხვადასხვა სკოლის 36 მანდატურსა და კლასიკური გიმნაზიის სამ პედაგოგს ჩაუტარდათ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორმა ზვიად ქაწაშვილმა მათ სპეციალური სერტიფიკატები გადასცა. თბილისის შემდეგ, მანდატურებისა და პედაგოგების თეორიული და პრაქტიკული გადამზადება საქართველოს ყველა რეგიონში იგეგმება.

„ვერსიანიუსი“

სამხატვრო აკადემიის უნიკალური შენობის რეკონსტრუქცია ბიუჯეტს 8 მილიონი დაუჯდება

რეაბილიტაციაში ისპაჰანის უნივერსიტეტის თანამშრომლებიც მონაწილეობენ

მაკა ლომაძე
555-27-95-13

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მის დაქვემდებარებაში შემავალი 80-მდე ობიექტის რეაბილიტაცია დაიწყო. სარეაბილიტაციო ნუსხაში აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობაც მოხვდა, რომელიც სრულიად უნიკალური კულტურული ძეგლია და წლებია, სავალალო მდგომარეობაშია... „ვერსიას“ სამხატვრო აკადემიის კანცლერი, პროექტის უშუალო მონაწილე და კოორდინატორი, რესტავრატორი კახა ტრაპაიძე ესაუბრა.

— ბატონო კახა, გილოცავთ, კულტურის სამინისტრომ, როგორც იქნა, ყურადღება მოგაქციათ და ეს უნიკალური შენობა რემონტდება!

— ეს მართლაც, ისტორიული ამბავია, რადგან 1851 წელს აშენებულ შენობას, რომელსაც ჯერ კიდევ დასაწყისში ჰქონდა სტრუქტურული პრობლემები, სრული რეაბილიტაცია პირველად უტარდება. ეს თბილისში და საერთოდ, კავკასიაში ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შენობაა, რომელიც 1851 წელს სომეხი დიდვაჭრის, არშაკუნის დაკვეთით აიგო. ირანიდან მოწვეული იყვნენ ყაჯარი ოსტატები, რომლებსაც აქაური უნიკალური დარბაზები ეკუთვნით და რომლებიც ირანში ცნობილი გოლესტანის სასახლის ასლს წარმოადგენენ.

— მას მერე, რაც აკადემია გარემონტდება, როგორც ლოკალური, ისე ფართო მასშტაბით რა შეიცვლება?

— რეაბილიტაციის მერე, აკადემია არამარტო სასწავლო დაწესებულება, არამედ აღმოსავლურ-კულტურული ცენტრიც გახდება. ეს იქნება მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ადგილი როგორც ტურისტული, ისე სამუზეუმო და ბევრი სხვა თვალ-

საზრისითაც. გარდა იმისა, რომ უპირველესი მიზანი სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაა, აქ სხვადასხვა საღამო, მიღება, კონცერტი, აღმოსავლური თუ ჩვეულებრივი გამოფენა მოეწყობა. შემოსვლა უფასო იქნება. ამ პროექტის მთელი კონცეფცია არქიტექტურისა და რესტავრაციის ფაკულტეტების მიერ შემუშავდა.

— რესტავრაცია როდის უნდა დასრულდეს?

— ეს სამწლიანი პროექტია, რომლის ღირებულება 8 მილიონნახევარი ლარია. თანხა ეტაპობრივად გადმოგვეცემა. კულტურის სამინისტრომ უკვე გამოყო 2 მილიონნახევარი ლარი. ამაში შედის საინჟინრო რემონტი, სტრუქტურული გამაგრება, გადახურვა, რაც საშუალებას მოგვცემს, დარბაზების რეაბილიტაციაც დავიწყოთ. დაფინანსების გამოყოფა კულტურის მინისტრისა და შესაბამისი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით მოხერხდა. ხელი იმანაც შეგვიწყო, რომ ჩვენი სპეციალისტების მიერვე შემუშავებული პროექტი არსებობდა. ასევე, განზრახული გვაქვს, მეორე ეტაპზე, როცა დარბაზებზე გადავალთ, მშვენიერი ურთიერთობების წყალობით, ისპაჰანის უნივერსიტეტიდან სარკეებიანი დარბაზის – (შენობის სიამაყის) რეაბილიტაციის დროს, იქაური სპეციალისტები კონსულტანტებად მოვიწვიოთ, რომლებიც ჩვენი აკადემიის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებთან ერთად იმუშავებენ. ორი მიმართულებით მოვიგებთ: ერთი, შენობა აღდგება და მეორე — ჩვენი სტუდენტები შეისწავლიან შესაბამის ტექნოლოგიებს, რომლებიც აღმოსავლური დარბაზების რეაბილიტაციასთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება საინჟინრო-საკონსოლიდაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია ასრულებს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მნიშვნელოვანი სამუშაო გამოცდილება აქვს. საინჟინრო ნაწილი გაისად დეკემბერში დამთავრდება, დარჩენილი თითქმის ორი წელი კი დარბაზების აღდგენას დაეთმობა.

სხვათა შორის, 3D ლაზერული სკანერების მეშვეობით, ქსტერიერისა და ინტერიერის სრული ციფრული აზომვა მოხდა და ყველა საჭიროება დეტალურად გაიწერა... ორი წლის წინ, როცა საძირკვლის გამაგრება დავიწყეთ, აღმოვაჩინეთ, რომ საძირკველი შენობას თავიდანვე არ ჰქონდა და შენობამ მხოლოდ კედლების სისქის წყალობით გაძლო. აკადემიის მესვეურები ხელისუფლებისგან დახმარებას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ითხოვდნენ და განგაშის ზარებს რეკდნენ. 70-იან წლებში ჩატარდა რეაბილიტაცია, მაგრამ უფრო კოსმეტიკური სახის. კომპლექსური გამაგრებითი სამუშაოები მისი დაარსების დღიდან, პირველია და საუკუნენახევრის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები დამთავრდება.

— სარემონტო სამუშაოები სასწავლო პროცესს ხომ არ შეაფერხებს?

— აკადემიის ახალ შენობაში გადავდივართ, რომელიც ხრუშჩოვის დროს აშენდა და სადაც თავიდან სამხედრო ჰოსპიტალი იყო განთავსებული. ამავე დროს, კულტურის სამინისტრომ დააფინანსა ძეგლთა დაცვის კორპუსი ყიფშიძის ქუჩაზე, რომლის სრული რეაბილიტაციაც მოხდა და დროებით, სტუდენტები იქ გადავიყვანეთ.

— სულ რამდენი უნიკალური დარბაზია?

— ცენტრალურ პოზიციას სარკეებიანი დარბაზი იკავებს. შენობას კიდევ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება 5 დარბაზი აქვს. ამდენი წლის განმავლობაში, გარკვეული ელემენტები, რა თქმა უნდა, დაიკარგა. აღდგენა მხოლოდ უტყუარი სამეცნიერო დოკუმენტების ხარჯზე ხდება. ტურისტული თვალსაზრისით, აქ მოსვლა ნამდვილად ღირს, რადგან ხალხი გოლესტანის სანახავად სპეციალურად ირანში დადის. ჩვენ კი მისი ასლი გვაქვს. რაც მთავარია, ყველა დარბაზს დაუბრუნდება ძველი, ისტორიული სახე.

პროექტი 4 წლის წინ დავიწყეთ, მაგრამ მაშინ, გამოვტყდები, დიდი იმედი არ გვქონია... 1920-იან წლებში, ძალიან ცნობილმა არქიტექტორმა, სიმონ კლდიაშვილმა ფასადის ნაწილი ევროპულად გადააკეთა. მასაც განუმეორებელი ღირებულება აქვს, მაგრამ ინტერიერი და დარბაზები სულ სხვა განზომილებაა. იმედი მაქვს, აკადემია თბილისისა და ამიერკავკასიისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი იქნება.

— შენობას ანალოგი მოეპოვება?

— მსგავსი ელემენტებით შესრულებული შენობები ერევანსა და ბაქოში მინახავს, მაგრამ ასეთი მასშტაბის — არა. თბილისშიცაა რამდენიმე შენობა, კერძოდ, ჭონქაძის №6/9, რომელიც ადრე ირანის საელჩო იყო. ასევეა ფირუზას სასახლე ბორჯომ-პარკში და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, მაგრამ გვიანდელი ნიმუშია. ასე რომ, სამხატვრო აკადემია შეუცვლელი ძეგლია, ტყუილად ხომ არ ადარებენ გოლესტანს? თანაც, ჩვენი შენობა უშუალოდ ირანელების მიერ შესრულდა. ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ განყოფილებაში დაცულია ყაჯარული პორტრეტების ძალიან სერიოზული კოლექციები. ყაჯარული პორტრეტები ჩვენს დარბაზებშიც, კედლის მხატვრობაშია (და არა — კოლექციებში) დაცული.

სამხატვრო აკადემიასთან ერთად, ავარიულობის გამო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ პრიორიტეტი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის და თოჯინების სახელმწიფო თეატრის შენობებსაც მიანიჭა. წარმატება ვუსურვოთ ამ უწყებას, რადგან მისი წარმატება უშუალოდ ჩვენი ქვეყნის წარმატებაზე გადის. საქართველოს მთავარი სავიზიტო ბარათი ხომ კულტურაა!

გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე საქართველოში შეხვედრებს გამართავს

9-11 ნოემბერს, საქართველოში, გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ადმინისტრატორის მოადგილისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელის ჯიჰან სულთანოღლუს ვიზიტი გაიმართება. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ჯიჰან სულთანოღლუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ძირითად პარტნიორებს საქართველოში — საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერო-ს სააგენტოების წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრების ფარგლებში ჯიჰან სულთანოღლუ ისაუბრებს საქართველოს მიღწევებზე გასული წლების მანძილზე, განვითარების მიმდინარე გამოწვევებსა და საქართველოს როლზე მსოფლიოს ახალი დღის წესრიგის — მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. იგი ასევე შეეხება გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, რომელიც ეყრდნობა გაერო-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალ ხელშეკრულებას და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) საპროგრამო დოკუმენტს 2016-2020 წლებისთვის.

10 ნოემბერს, ჯიჰან სულთანოღლუ, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელნ ფედერიკა მოგერინისთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონფერენციაში „გენდერული თანასწორობისათვის — გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში“, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ევროკავშირსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩატარდება.

11 ნოემბერს, ჯიჰან სულთანოღლუ დუშეთის რეგიონში გაემგზავრება, სადაც გაეცნობა გაერო-ს განვითარების პროგრამის, შვეიცარიის მთავრობისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივის შედეგებს, საქართველოში რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდასაჭერად.

„ინტერპრენიუსი“

ეგვიპტეში ჩამოვარდნილი რუსული თვითმფრინავის ბორტზე აფეთქება მოხდა

შავი ყუთების ჩანაწერში აფეთქების ხმა ისმის, რომელიც ძრავის წყობიდან გამოსვლას არ უკავშირდება. ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსულ მხარეს აფეთქების ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია.

დასავლური მედია სადაზვერვო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ 31 ოქტომბერს ეგვიპტელმა მებრძოლებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელ პირებს რუსული ავიალაინერის ჩამოგდების შესახებ აცნობეს.

მანამდე, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებმა არ გამორიცხეს, რომ ავიაკატასტროფის მიზეზი ბორტზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო.

რუსული ავიაციის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ავიაკატასტროფა 31 ოქტომბერს მოხდა. ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ სამგზავრო ლაინერი Airbus-321, რომელიც შარმ ელ-შეიხიდან სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრებოდა, სინაის ნახევარკუნძულზე ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი 224 ადამიანი დაიღუპა.

„ინტერპრესნიუსი“

„კაიბიჭებმა“ ქურდებს საფლავის ქვის ფული „მოუტეხეს“

რა „რაზბორკა“ მოჰყვა სამეგრელოში დაფრიალებულ ტრაგედიას

პატიმარი №0578

რამდენიმე წლის წინ, სამეგრელოში ტრაგედია მოხდა — ერთ-ერთ სოფელში ბავშვები სკოლის დამთავრებას აღნიშნავდნენ. ბანკეტის დაწყებამდე მათ ავტომობილებით შემოიარეს სოფელი, რაიონშიც იყვნენ, შემდეგ კი სოფელში დაბრუნდნენ და ფეხით მსვლელობა მოაწყვეს. სოფელი ხალისობდა... კლასელები შეჯგუფდნენ სურათის გადასაღებად. ამ დროს, დიდი სიჩქარით მომავალი მანქანა გზაზე მოცურდა და სასურათედ გამზადებულ ახალგაზრდებში შევარდა. ერთი მოსწავლე ადგილზე დაიღუპა, ერთიც — საავადმყოფოში, რამდენიმემ კი სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო...

რუსთავის №17 ზონაში ახლადმოყვანილი პატიმრებიდან მაყურებელმა ერთ-ერთი ამოარჩია, კამერაში შეიყვანა და რაც შეიძლებოდა მშვიდად ჰკითხა: „შენი „პადდელნიკი“ სად არის?!“

„გლდანში. როგორც მითხრეს, ერთ თვეში იმასაც მოიყვანენ“, — უპასუხა ახლადმოსულმა, რომელსაც ლუკა ერქვა.

„კარგი. მანამდე „ბაზარს“ არ ვიწყებ და ამ თემაზე არც არავის „ებაზრო“, მაყურებელს აქვს გაჩერებული-თქო. ახლა წადი“, — უთხრა მაყურებელმა და კამერიდან პირველი თავად გავიდა.

პატიმარი №0578 ყველაფერ ამას მშვიდად უსმენდა და ვიდრე ლუკა კამერიდან გავიდოდა, ჰკითხა: „შენ ვინ ხარ?!“

„ლუკა მქვია, კაიბიჭი ვარ“, — ამაყად მიუგო ახლადმოყვანილმა, თუმცა №0578-მა ამ სიამაყით ნათქვამში რაღაც შიში იგრძნო. ცოტა ხანში №0578 მაყურებელს ამოუდგა გვერდში, გაუღიმა და სასხვათაშორისოდ ჰკითხა: „ასე აღელვებული იშვიათად მინახიხარ. სამშობლო გაყიდა იმ ახალმა, „პადდელნიკის“ გარეშე რომ არ გინდა, სცემო თუ საპნიანი წყალი მოიპარა?!“

„ვინ გითხრა, რომ უნდა ვცემო?“ — კითხვა შეუბრუნა მაყურებელმა.

„შენი სახე რომ გენახა, ამას არ მკითხავდი. ცოტა გაკლდა, შუაზე რომ არ გაგეგლიჯა. ისე, კაიბიჭი ვარო, შენ რომ გამოხვედი, მაშინ მითხრა“, — უპასუხა №0578-მა.

„ჩემი დეიდაშვილის კლასელია. ახლა მეტს არაფერს გეტყვი, იმ „პადდელნიკს“ რომ მოათრევენ, მერე „ვიბაზრებთ“, — გაბრაზებით თქვა მაყურებელმა.

„ერთი დაზუსტება და შეგეშვები: ის შენი დეიდაშვილი, ამათი კლასელი, გოგოა თუ ბიჭი?!“ — თვალები მოჭუტა №0578-მა.

„ახლა აღარც გოგოა და აღარც — ბიჭი... მკვდარია“, — ჩაილაპარაკა ზონის ნომერპირველმა პატიმარმა და თავი ჩაღუნა. №0578-საც აღარაფერი უკითხავს.

„ლუკა მოიყვანეს“, — ერთი თვის შემდეგ, მაყურებლის კამერაში რუსთავის რეგიონის მაყურებელი შევიდა.

„ვინ ლუკა?“ — ყურები ცქვიტა მაყურებელმა.

„აი, ის, ლუკას „პადდელნიკი“... ამასაც ლუკა ჰქვია. მოკლედ, ახლა კარანტინში არიან, ხვალ ამოწევენ, მაგრამ თუ გინდა, დღეს ამოვათრევინებ“, — რუსთავის რეგიონის მაყურებელი „დუხზე“ იყო.

„არა, ხვალ იყოს“, — ხელი აიქნია ზონის მაყურებელმა და №0578-ს გახედა: „ახლა, მთელი შენი ნიჭი და უნარი დამჭირდება, რომ ეს ორი სამაგალითოდ დავსაჯო. ცემა მარტივია, ცემით ყველას სცემენ, ისეთი რამ მინდა მოვიფიქრო, რომ აქამდე არავის უქნია, თან „სპრავედლივი“ უნდა იყოს და რაც მთავარია, ეტკინოთ“.

„მოიცა, ნუ გაუტიე... რომელი ჯოზეფ გილიოტინი მე ვარ, წამების ხერხები მოვიფიქრო, თან არ ვიცი, რა თემაა, რას ეხება და თუ განმანათლებ, ეგებ, რამე გირჩიო კიდეც“, — მიუგო №0578-მა.

„შენ ამ ვიღაც მწერლების გვარების დასახელებას არ მოეშვები? მერე რა, რომ ვინც თქვი, წაკითხული არ მაქვს? ისე, რა პონტში ახსენე, „იდეინი“ ამბებს წერდა?!“ — დაინტერესდა მაყურებელი.

„ჯოზეფ გილიოტინი იყო ფრანგი ექიმი, რომელმაც საფრანგეთში გილიოტინა გამოიგონა თუ რომელიღაც ბრიტანული ქვეყნიდან გადაიღო, ზუსტად არ მახსოვს. ჰოდა, ამ გილიოტინათი ხალხს თავს აჭრიდნენ. უმტკივნეულოდ აჭრისო, ასე ამბობდნენ და აბა, რა გითხრა, არც ერთი თავმოჭრილის მონაყოლი არ შემორჩენია ისტორიას“, — გაიღიმა №0578-მა.

„მოკლედ, თემას ხვალ გაიგებ და იქვე მოიფიქრებ, როგორ დავსაჯო“, — მოჭრა მაყურებელმა.

„დეტალები დღეს მინდა, ხვალ ეგენი იბლუკუნებენ, კარანტინიდან პირდაპირ მაყურებლის კამერაში რომ შეგაგდებენ და კაჩაობას დაგიწყებენ, რა ისტორიის მომყოლები ეგენი არიან?!“ — უთხრა №0578-მა და მაყურებელმაც ჩუმად დაიწყო.

„თუ გახსოვს, ცოტა ხნის წინ, სამეგრელოში ავარია რომ მოხდა. პრინციპში, რაღა ცოტა ხნის წინ, წელიწადზე მეტი გავიდა. სკოლის მოსწავლეებში რომ შევარდა მანქანა და ორ მოსწავლე მოკლა. ერთ-ერთი, ადგილზე რომელიც მოკვდა, ჩემი დეიდაშვილი იყო და...“

„ეგ ამბავი როგორ არ მახსოვს, მაშინ სვაბოდაზე ვიყავი და ესენი ისხდნენ „ზა რულიომ?“, — შეაწყვეტინა №0578-მა, მაგრამ მაყურებელს თითქოს არც გაუგონია, ისე განაგრძო:

„ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვი იყო ლილუ. ლილუს მე ვეძახდი, ისე, ლილი ერქვა, დეიდაჩემის სახელი, მაგის მშობიარობას გადაჰყვა. ჰოდა, ეს შვილივით თუ დასავით ნაზარდი ბავშვი მოკლა ვიღაც ახვარმა. იმას თავისი მიეზღვება, მაგრამ ამათ მეტი დააშავეს — ლილუს კლასელები არიან. სროკზე ვიყავი მაშინ, როგორღაც მოვახერხე, ქურდებიც დამეხმარნენ და ოჯახს საფლავის გაკეთების ფული მივაწოდე. ბევრი არ იყო, ორი ათას დოლარამდე, არ ჰყოფნიდა ისეთ საფლავს, მე რომ მინდოდა, მაგრამ ბიჭები იყვნენ დაპირებულნი, კიდევ ვიშოვითო. მარმარილო, რომელიც საფლავისთვის მინდოდა, სამეგრელოში არ იყიდებოდა და ჩემებმა ფული ამ სირებს მისცეს, თბილისში იშოვებაო. ამათ, ორივეს, ქურდობა უნდა, „კაიბიჭობენ“ და რამე. წამოიღეს ის ფული და წამოვიდნენ თბილისში. აი, მერე რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ დაიჭირეს ორივე ყაჩაღობის მცდელობაზე. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დაჭერის დროს ჯიბეში ერთი თეთრიც არ ედოთ, ეგ ზუსტად ვიცი, ჩემი მეზობელი იყო აყვანის დროს მაგათთან ერთად და რომ გავიგე, დაიჭირეს და უფულოდო, ამას ვთხოვე, საფლავის ფული ჰქონდათ და დააბრუნეთ, ნუ გვაბოლებთ, ვითომ არაფერი ჰქონდათო. იმან გაიკითხა, შეაწუხა ხალხი, ლილუსაც იცნობდა და გაიწყვიტა ყველაფერი, გახვრეტილი შაურიანი არ ჰქონიათო. ხვდები? ის ფული სადღაც გააქრეს და ყაჩაღობაც იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ეს ფული ამოეგდოთ. ჰოდა, რა მოხდა რეალურად, ხვალ გავიგებთ, მაგრამ რაც უნდა თქვან, „აპრავდანია“ არ აქვს მაგათ საქციელს. საფლავისთვის, ქურდების გამოგზავნილი ფული გაქრა, ძმაო, და მაგათ „კაიბიჭობას“ ხვალ დაესმება წერტილი“, — დაამთავრა მაყურებელმა.

მეორე დღეს, ვიდრე ორივე ლუკას მაყურებლებთან შეიყვანდნენ, რუსთავის რეგიონის მაყურებელმა შეიხედა და ჩუმად თქვა: „ისე, რომ იცოდეთ, ორივე კარატისტია და ორივე საქართველოს ჩემპიონი“.

„ეგ რა შუაშია? ხელის აწევას გაბედავენ?!“ — იღრიალა მაყურებელმა.

„არა, არ გაბედავენ, უბრალოდ, გითხარი, რომ იცოდე“, — ნირი წაუხდა რუსთავის რეგიონის მაყურებელს.

დაახლოებით, ნახევარ საათში, ლუკა და ლუკა მაყურებლის კამერაში იყვნენ. ისე ჩანდა, ერთმანეთში დალაპარაკება მოასწრეს. მხოლოდ პირველადმოყვანილი ლუკა საუბრობდა, ახლდამოყვანილი კი თავს უქნევდა და საუბარს უდასტურებდა.

„ფული რომ მოგვცეს, თბილისში მივხვდით, იმ მარმარილოს აკლდებოდა. ვიცოდით, რა ფულიც იყო და არ გვინდოდა, ისე მომხდარიყო, ამ ფულს თავის დანიშნულება ვერ შეესრულებინა. ამიტომ, კაზინოში შევედით და სულ წავაგეთ, ამის მერე გადავწყვიტეთ ყაჩაღობა და ჩავვარდით“, — ისე მოკლედ დაასრულა ლუკამ, ყველამ პირი დააღო.

„ქურდების გამოგზავნილი ფულით კაზინოში შედითო, რომელ კარაბადინში წერია?! და ახლა ხელმეორედ რომ არის ის ფული შესაგროვებელი და თქვენ აქ სირებივით რომ სხედხართ, რა უნდა ვქნათ, ქურდები ელოდებიან პასუხს, მითხარით“, — იფეთქა მაყურებელმა.

„კაიბიჭები ვართ და სირებს რა პონტში გვეძახი?!“ — ისეთი ტონით თქვეს ლუკამ და ლუკამ, რომ №0578-მაც გაოცებისგან პირი დააღო.

„რაა?!“ — მაყურებელმა კონტროლი დაკარგა და ორივეს მუშტები დაუშინა. ორივე ლუკამ იმდენი კი იცოდა, რომ მაყურებლისთვის ხელის შებრუნება არ შეიძლებოდა და მორჩილად იტანდნენ ყველაფერს. ამ დროს მაყურებელს მკლავზე ვიღაცამ ხელი მოკიდა. ეს, ერთი შეხედვით, უპატიებელი შეცდომა იყო, მაგრამ არავინ განძრეულა: მაყურებელი №0578-მა გააჩერა, რაღაც ჩასჩურჩულა და...

„მოკლედ, ახლა კამერიდან გავალთ, ჩემპიონებო. ერთმანეთი დაგიხოციათ აქ, არ ვიცი, როგორც გინდათ, ისე იჩხუბეთ. მე ქურდებთან უნდა დავრეკო, ეს არის ჩემი სიტყვა“, — თქვა და კამერიდან გავიდა. კამერაში მხოლოდ ორი ლუკა დარჩა და კარი მოხურეს. ცოტა ხანში იქიდან დაძაბული საუბარი გაისმა, მერე ჩხუბი ატყდა. დაახლოებით, ათ წუთში კარი გააღეს. ორივე ლუკას თავ-პირი დასისხლიანებული ჰქონდა. მაყურებელიც მოვიდა და...

„კაიბიჭები ხომ ხართ? ის ფული ერთ კვირაში უნდა იდოს. ასე გადაწყვიტეს ქურდებმა“, — თქვა მაყურებელმა.

ერთ კვირაში ლუკამ და ლუკამ ფული, მართლაც, მიატანინეს მაყურებლის ოჯახში...

„რა მოგაფიქრა ის, რომ ამათ ერთმანეთი უნდა ეცემათ?!“ — ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს, როცა მარტო დარჩნენ.

„არაფერი მქონდა მოფიქრებული, მაგრამ რუსთავის რეგიონის მაყურებელმა რომ თქვა, კარატისტები არიანო, მაშინ მოვიფიქრე“, — გაიღიმა №0578-მა.

„გიჟი ხარ შენ... ჩვეულებრივი გიჟი“, — გაეცინა მაყურებელს.

სხვათა შორის, ორივე ლუკა ახლა თავისუფლებაზეა და... ორივეს ისევ ქურდობა უნდა.

ვერსიანიუსი

სამართალდამცავებმა ჰეროინი ამოიღეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული ეკატერინე კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 26,9992 გრ ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. დადგინდა, რომ ეკატერინე კ-მ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოიტანა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემისთვის 5 პირი დააკავეს

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს, დეტექტივების სამმართველოსა და ხელვაჩაურის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 5 პირი: საქართველოს ორი მოქალაქე — 1979 წელს დაბადებული მარინა ჯ. და 1990 წელს დაბადებული გიორგი გ, თურქეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქე — 1983 წელს დაბადებული ჰუსეინ ა, 1971 წელს დაბადებული აზიზ კ. და 1976 წელს დაბადებული მეჰმედ ა. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ბათუმსა და გონიოში, თავიანთი კუთვნილი და დროებით მფლობელობაში არსებული სასტუმროებისა და დისკოკლუბების ფართებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროებისა და დისკოკლუბების მომსახურე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

1. შეწეული სტრიქონი ტექსტში
2. ე.წ. „მგლის მადა“
3. ესკიმოსთა კაპიუშონიანი ქურთუკი
4. ძველი სკანდინავიელი პოეტი-მომღერალი
5. ძვ. სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი
6. გენიალური ძველბერძენი მოქანდაკე
7. ტროას მეორე სახელი
8. წერილის მოძველებული სახელწოდება
9. მსახიობის მიერ შესრულებული სახე
10. ძალიან ჩქარი ტემპი მუსიკაში
11. (კუთხ.) ღობეზე გადასასვლელი ადგილი
12. აღმ. საქართ. გავრცელებული ხალხური თამაში
13. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
14. ღორის ნაშიერი
15. ევროპელი ებრაელების ენა
16. თხელი ტალახი
17. საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი
18. ვირის გასარეკი შეძახილი
19. უწილადო რიცხვი
20. მიწის დასამუშავებელი იარაღი
21. მოქმედი ვულკანი ალასკაზე
22. საზოგადოების რჩეული ნაწილი
23. ჭრაგალწლოვანი ბალახოვანი მცენარე
24. თხების ჯოგი
25. ანტონიო ბანდერასის ცოლყოფილი
26. ოვივეა, რაც მომთაბარეობა
27. აგამემნონის და კლიტემნესტრას ასული
28. სამეურნეო მუშაკი
29. სწრაფად გათამაშებული პარტია ჭადრაკში
30. „საჩაიე“ ციტრუსი
31. ბუსუსები ქაოვილზე
32. ქვეყანა აზიაში
33. „ძე“ - არაბულ გვარებში
34. აფრიკის დაბალტ. ადამ. ტომის წარმომადგენელი
35. ყვავილების კონა
36. ოგივეა, რაც თაღი
37. კლოუნის ნომერი ცირკში
38. ბერძნული ანბანის I ასო
39. ოგივეა, რაც მამითადი
40. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
41. ადამიანის უნარი უთანაგრძნოს სხვებს და გაიგოს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა
42. ებრაული ხმიადი
43. იაპონური ალუბალი
44. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
45. ცნობილი უკარინელი ანარქისტი
46. ოქრის ურდოს სარდალი
47. ავსტრალიური ველური ძაღლი
48. ტაილანდის ყოფილი სახელწოდება
49. ფარნავაზის მტერი
50. ფუჭი, უმედეგო
51. ფრინველის კანის საფარი
52. ზებუნებრივი ძალა, რომელიც ახდენს ზემოქ.
53. გემის კორპუსის ჰორიზონტ. გადახურვა
54. ებრაელთა წინამძღოლი
55. ერთაოზის სატრფო „შერეკილებში“
56. კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი
57. მედეას დედა
58. შვეიცარიის დედაქალაქი
59. ერთწლოვანი მცენარე აღმოსავლეთ აფრიკაში, რომლის თესლისგან ყავის სუროგატს ამზადებენ
60. ხურდა ფული სკანდინავიაში
61. პურეულის ნამჯის ნალეწი
62. რთული სიტყვის წინსართი, ნიშნავს ახალს, განახლებულს
63. სიმებიანი საკრავი
64. ეკლესიის ოფიციალურ დოკუმენტებზე დასმული ტყვიის ბეჭედი
65. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
66. ადამიანის თავის უკანა ნაწილი
67. აშშ-ის შტატი ...-აილენდი
68. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი
69. დუნაის შენაკადი
70. შორენა კოლონკელიძის შვილი
71. ლატვიის ეროვნული ვალუტა
72. საყანედ გაკაფული ტყე
73. ტროას უკანასკნელი დედოფალი
74. საკონდ. ნაწარმი
75. ბორ. არსება სკანდ. მით.
76. ფრანგი მსახიობი ... ჟირარდო
77. ცხენირემი
78. ბალახის ჩრდილი
79. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი
80. ღამის ფრინველი
81. ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი
82. წვეტიანი ყინული ხეებზე
83. თევზის ნახარში
84. მაუგლის მეგ. დათვი
85. ორი წერტილი კამათელზე
86. ჩრდილოეთის ქარის ღვთაება ბერძ. მით.
87. საფეიქრო ბანანი
88. სიგიჟის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

ხორცპროდუქტები კიბოს პროვოცირებს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პლანეტის მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ლორის, ძეხვეულისა და ხორცის სხვა დამუშავებული პროდუქტის მოხმარება, სიმსივნის პროვოცირების თვალსაზრისით, ისეთივე საშიშია, როგორც თამბაქო. თავის მხრივ, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კვირაში მხოლოდ 4 ულუფა ხორცის ნაწარმის მიღება 40%-ით ზრდის კიბოს განვითარების რისკს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ხორცში არსებული ნაერთები აზიანებს კუჭნაწლავის ტრაქტის უჯრედების დნმ-ს, რის შედეგადაც სიმსივნე ვითარდება. გარდა ამისა, დამუშავებული პროდუქტი სხვა მხრივაც არის საშიში: დამუშავებისას ცდილობენ, შენახვის ვადა მაქსიმალურად გაუზარდონ. ამისთვის ბოლავენ, უმატებენ მარილს, ნიტრატებისა და ნიტრიტების მსგავს ქიმიურ კონსერვანტებს. ზოგიერთი ექსპერტი კი სიმსივნური დაავადებების მომატებულ რისკს სწორედ ხორცპროდუქტებში არსებულ დანამატებს უკავშირებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ახალ ხორცს ნაკლებად საშიშ პოზიციას ანიჭებს და მას „შესაძლო კანცეროგენის“ სტატუსს აძლევს. თუმცა, მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ ხორცი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, რადგან მასში ბევრი ცილა, რკინა, „ბე-12“ ვიტამინია, რომელიც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის.

1.ჯორჯ ბიზეს ოპერა
2.წერის უნარის დაკარგვა
3. დას. ევროპის უმაღლესი მწვრვალი
4. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
5. უფროსი მწყემსი
6. კალიგულას დედა
7. საკურორტო ქალაქი აჭარაში
8. დეკლასირებული სამურაი
9. ზევსის მამა
10. სისხლნაკლებობა
11. ბოროტ. ღვთაება სპარსულ რელიგიაში
12. დიდი მუწუკი
13. ამაღლებ. ადგილი ორატორისთვის
14. აგამემნონის ვაჟი
15. თევზების „მეფე“
16. ნაყოფიერ. ქალღმერთი აქადურ მითოლოგ.
17. სამხედრო ნადავლი
18. ბარბის ბოიფრენდი
19. მუზების წინამძღოლი
20. ნ. ბარათაშვილის ლექსი
21.დაბალ ხეების და ბუჩქების ბარდები
22. იგივეა, რაც კლიმატი
23. წყალსაცავი რაჭაში
24.ფეხბურ. ალან ...
25.საბერძ. დედაქალაქი
26. აპოლის მკვლელი
27.დაკოდილი ცხენი
28.ცისარტყელა ქალღმერთი
29. იაპონური ავტომარკა
30.პოპულარული მედიკამენტი
31.რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი
32. პანტომიმის მსახიობი
33. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი
34. სოკოს გამრავლების ორგანო
35. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
36. ბათუმის უბანი
37. არაბული ფლეიტა
38. ამაზონის დელფინი
39.ძროხისებრთა ოჯახის ცხოველი
40. პარიზის ერთ-ერთი მუზეუმი
41. ალაზნის მარჯვენა შენაკადი
42.გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელი
43. კამათი, ჩხუბი
44. სატირული ხასიათის მიბაძვა
45.უძვ. ქართული სიმებიანი საკრავი
46.ჩოგბურთელი ანდრე ...
47.მათემატიკური მრავალწევრი
48. დიდი თეფში
49. შეძახილი კონცერტზე
50. წვრილი ქვიშა
51.ინგლ. მუსიკოსი ... ოსბორნი
52. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
53. ... უაინჰაუსი
54.მუქი ნაცრისფერი
55. ხის ტარზე წამოცმული მჭრელი-პირიანი რკინის იარაღი ხის საპობად
56. სოფელი თბილისთან
57. წიწვოვანი ხე
58. სოფელი საგარეჯოს რაიონში
59. ... გოლდბერგი
60.მდიდრ. აგარაკი
61. აშუღი შუა აზიაში
62. სოფელი დუშეთის რაიონში

ჰეპატიტის სამკურნალო წამალი შექმნეს

ჩინელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც C ჰეპატიტის ვირუსის კვალს აქრობს ღვიძლიდან და სხვა ორგანოებიდან სულ რაღაც სამ კვირაში. ყველასთვის ცნობილია, რომ C ჰეპატიტი ვირუსული დაავადებაა, რომელიც ღვიძლს აზიანებს და საბოლოოდ, ციროზსა და სიკვდილს იწვევს. ეს დაავადება მკურნალობას ექვემდებარება, მაგრამ მედიკამენტები ყველაზე არ მოქმედებს და ხშირად გვერდით ეფექტებსაც იწვევს. ჰონგკონგის ღვიძლის ცენტრის მეცნიერებმა ამ პრობლემის გადაჭრის გზა იპოვეს — მათ ჰეპატიტის საწინააღმდეგო წამლების ნარევი შეიმუშავეს, რომელიც წმენდს ადამიანის ორგანიზმს ამ ვირუსის ყველა კვალისგან, მისი მიღებიდან სულ რაღაც სამ კვირაში. როგორც სწავლულები გვიხსნიან, პრეპარატის ყოველი კომპონენტი ღვიძლის დაზიანებულ უჯრედებში ვირუსული ნაწილაკების სხვდასხვა ელემენტს უტევს და ამით ხელს უშლის ჰეპატიტის ვირუსს. ახალი წამლის მოქმედება 18 დაავადებულ მოხალისეზე შეამოწმეს — ყველა მათგანი სამი კვირის შემდეგ გამოჯანმრთელდა, ვირუსის კვალისგან კი სრულად 12 კვირის შემდეგ გათავისუფლდნენ. მკვლევართა თქმით, გვერდითი მოვლენები ან მინიმალური იყო, ანდა საერთოდ არ გამოვლენილა. მეცნიერები უახლოეს მომავალში აპირებენ, პრეპარატის უფრო მასშტაბური კლინიკური ცდები დაიწყონ.

ბებიას კატის გამო უჩივლა

საკმაოდ დრამატული ისტორია დასრულდა ცოტა ხნის შვედეთში, სადაც 25 წლის გოგოს საქმეს განიხილავდნენ 5 წლის განმავლობაში, რომელმაც სარჩელი საკუთარი ბებიის წინააღმდეგ შეიტანა — ბებია კატას არ უბრუნებდა. 12 წლის ბავშვს მშობლებმა ფისო აჩუქეს, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ცხოველი სახლში ვერ დარჩებოდა. ორი წლის შემდეგ კატა ბებიას მიუყვანეს, რომელთანაც 2010 წლამდე ცხოვრობდა. ამასობაში გოგონა დამოუკიდებელი გახდა და საკუთარი საცხოვრებელიც გაუჩნდა. მან ბებიას კატის დაბრუნება სთხოვა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. განა რა იქნებოდა ახალი შინაური ცხოველის აყვანა, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება ქალებმა მშვიდობიანად ვერ შეძლეს და სასამართლოს მიმართეს. ქალაქის თემიდამ ბებიას დაუჭირა მხარი, რადგან წლების განმავლობაში ის უვლიდა კატას, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ განაჩენი შვილიშვილის სასარგებლოდ გამოიტანა.

ანტიბიოტიკები ოპერაციას ჩანაცვლებს

როგორც ფინელი მკვლევარები აცხადებენ, აპენდიციტის სამკურნლოდ ქირურგიული ჩარევა არ არის აუცილებელი. საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებენ, რომ ანტიბიოტიკებს შეუძლია ქირურგიული მკურნალობის ალტერნატივად იქცეს. ექსპერიმენტში 18-დან 60 წლამდე ასაკის 500 პაციენტი მონაწილეობდა, რომელთაც მედიკოსებმა აპენდიციტის დიაგნოზი დაუსვეს. საკონტროლო ჯგუფი შედგებოდა მოხალისეებისგან, რომელთა ნახევარსაც ოპერაცია ჩაუტარდა, ნახევარს კი ანტიბიოტიკ ერტაპენემით უმკურნალეს. შედეგების მიხედვით, პაციენტთა 73%-ს, ანტიბიოტიკების შემდეგ, ქირურგიული ჩარევა აღარ დასჭირვებია, დანარჩენებს კი, ვისაც მაინც გაუკეთდა ოპერაცია, გრთულება არ განვითარებია. კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ ეს აზროვნების რადიკალურ ცვლილებას ნიშნავს, რადგან, უკვე საუკუნეზე მეტია, აპენდიციტს მხოლოდ ოპერაციული გზით მკურნალობენ. მათი თქმით, თუ აპენდიქსის ანთებას არ ახლავს სერიოზული გართულებები, მკურნალობა თერაპიულადაც შეიძლება. ახლა სწავლულები იმის დადგენას ცდილობენ, რა პრეპარატებით შეიძლება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების შეცვლა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4		6	2					
2				6	5			7
		7		4				
	7	9				1	8	
				9				
	2	1				9	6	
				2		4		
7			3	5				6
					7	5		3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5				1		8		6
		6	5				1	9
					6		2	
		1			7		5	
			3		4			
	5		8			9		
	6		7					
2	8				5	7		
9		7		3				2

ᲠᲗᲣᲚᲘ

				7	6	3		
		8						9
		2	3			1		8
	8			3				4
	4		7		2		1	
3				9			8	
5		3			8	4		
8						5		
		1	5	6				

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6								4
	9	7	3	5		2		
		1			7			
2				7	8	5		
		9		4		3		
		5	9	3				1
			7			1		
		3		2	1	9	5	
9								7

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ



ყველაზე ჯანმრთელი ადამიანები სინგაპურში ცხოვრობენ, — ასეთია შედეგები Bloomberg-ის კვლევისა, რომელიც გაერო-ს, მოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების საფუძველზე ჩატარდა. მხოლოდ ის ქვეყნები განიხილებოდა, რომელთა მოსახლეობაც მილიონს აჭარბებს. ისინი იღებდნენ ქულებს „ჯანმრთელობისთვის“, საიდანაც მერე გამოითვლებოდა „ჯანმრთელობისთვის სარისკო“ ციფრები, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიკვდილიანობის მიზეზები, ასაკობრივ ჯგუფებზე დამოკიდებული სიკვდილი და სხვა. რისკებს კი იმ ნიშნების გათვალისწენებით ადგენდნენ, რომელიც ნეგატიურად მოქმედებდა ჯანმრთელობაზე: მწეველთა რაოდენობა ახალგაზრდებს შორის, მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც ქოლესტერინის მომატებული დონე აქვთ, მაღალწნევიანები, ვაქცინაციის გავრცელება, აივინფივირებულნი და ჭარბწონიანები, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა, დაბინძურების დონე და სხვა. ყველა ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით., მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი ხალხის წოდება სინგაპურელებმა დაიმსახურეს 89,45%-იანი შეფასებით, მეორე ადგილზე იტალიელები აღამოჩნდნენ 89,07%-ით. ლიდერთა სამეულში შევიდნენ ასევე „მწვანე კონტინენტის“ მცხოვრებლები — ავსტრალიელებმა 88,33%-იანი შეფასება დაიმსახურეს. ჯანმრთელი ერების პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე შვეიცარიელები, იაპონელები, ისრაელის მკვიდრნი, ესპანელები, ჰოლანდიელები, შვედები და გერმანელები.

ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲩᲘᲜᲣᲚ ᲘᲔᲠᲘᲒᲚᲘᲤᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ჩინეთში, სიჩუანის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა მეტად ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა იმ სტუდენტების დასასჯელად, რომლებიც გამუდმებით აგვიანებენ ლექცია-სემინარებზე. პედაგოგი მათ აიძულებს, ათასჯერ დაწერონ ურთულესი იეროგლიფი „ბიანი“, რომელიც 56 შტრიხისგან შედგება. ჯერჯერობით ასეთი სასჯელის „მოხდა“ მხოლოდ ორ სტუდენტს მოუწია, თანაც, მათაც ვერ „გაქაჩეს“ ბოლომდე და პროფესორს აღუთქვეს, რომ აღარასოდეს დაიგვიანებდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩინური იეროგლიფები მსოფლიოში ერთ-ერთ ურთულეს დამწერლობად ითვლება. ისინი რვა ძირითადი შტრიხისგან შედგება. ექსპერტების თქმით, მათი შესწავლის ერთადერთი გზა, წერაში გამუდმებით ვარჯიშია.

წვიმაში ქუჩები გააფერადეს

კორეელმა დიზაინერებმა მოიფიქრეს, როგორ გაუხალისონ თანამემამულეებს ულიმღამო წვიმიანი დღეები. სპციალური საფარისა და საღებავის მეშვეობით, მათ სეულის რამდენიმე ქუჩაზე ასფალტი მოხატეს. თუმცა, ეს ნახატები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა წვიმს. ნამუშევარს „მუსონური პროექტი“ უწოდეს და იმ დროისთვის აამოქმედს, როცა ამ ბუნებრივი მოვლენის — მუსონური წვიმების სეზონი დგება და კვირაობით გრძელდება. ასე რომ, თუ სეულში წვიმიან ამინდში მოხვდებით, არ მოიწყინოთ, აიღეთ ქოლგა და ქალაქში გაისეირნეთ, რათა ნახოთ ეს სილამაზე.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	1	7	3	2	9	8	6	4
6	4	3	7	1	8	5	9	2
2	9	8	5	6	4	3	1	7
8	3	1	6	4	2	9	7	5
9	7	2	1	8	5	6	4	3
4	6	5	9	7	3	2	8	1
3	5	6	4	9	7	1	2	8
7	2	9	8	5	1	4	3	6
1	8	4	2	3	6	7	5	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	3	9	2	8	1	7	5	4
7	5	8	9	4	6	2	3	1
1	4	2	7	3	5	6	8	9
2	1	4	6	9	3	8	7	5
9	8	5	4	7	2	1	6	3
3	7	6	1	5	8	9	4	2
8	2	1	5	6	4	3	9	7
5	9	3	8	1	7	4	2	6
4	6	7	3	2	9	5	1	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	3	6	9	7	5	4	2	1
2	4	7	3	1	8	9	6	5
1	5	9	6	2	4	3	8	7
3	7	8	5	9	2	1	4	6
5	9	4	1	6	3	8	7	2
6	2	1	8	4	7	5	3	9
4	6	5	7	3	1	2	9	8
9	1	2	4	8	6	7	5	3
7	8	3	2	5	9	6	1	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	3	2	1	9	8	7	5	4
1	8	7	6	5	4	3	2	9
5	4	9	2	7	3	1	8	6
4	9	8	5	6	7	2	3	1
3	2	1	4	8	9	6	7	5
7	6	5	3	2	1	9	4	8
2	7	4	8	1	6	5	9	3
9	1	3	7	4	5	8	6	2
8	5	6	9	3	2	4	1	7

მე-10 გვერდი: 1. სერდიკა; 2. ქარსალა; 3. სარმა; 4. რევანში; 5. იასამანი; 6. აფიქსი; 7. ქაფქირი; 8. რურკი; 9. არზა; 10. ილია; 11. ტრავესტი; 12. იერიქონი; 13. ომარიშარა; 14. სიმონია; 15. აფორიზმი; 16. სიოგუნი; 17. მაინცი; 18. ფხა; 19. ამატი; 20. მისია; 21. ოხრა; 22. ეშმა; 23. ივანე; 24. ირი; 25. რუქა; 26. შერიფი; 27. მაროდიორი; 28. ოიამა; 29. მარიანი; 30. რივიერა; 31. მარალი; 32. რეპლიკა; 33. გუნო; 34. პა; 35. შინშილა; 36. შრომა; 37. რეპროდუქცია; 38. აპო; 39. ტაქსი; 40. გოია; 41. ლეია; 42. ალფა; 43. ნაია; 44. კონკა; 45. ირმა; 46. აგნი; 47. ფრე; 48. გორდია; 49. სია; 50. ნიასა; 51. ოინი; 52. კლიო; 53. ასი; 54. პრიორი; 55. ამაო; 56. მამაი; 57. ნიუ; 58. კიო; 59. ისლი; 60. ალტაი; 61. ომი; 62. აგუტი; 63. ფაუ; 64. კეა.

მე-12 გვერდი: 1. ასანთი; 2. სეკვესტრი; 3. ნერონი; 4. ფრახტი; 5. როდარი; 6. ხილარი; 7. სკერცო; 8. სოიერი; 9. სენსეი; 10. ბრერა; 11. ენოტი; 12. ფოლადი; 13. ადა; 14. აფთი; 15. სოია; 16. სმოგი; 17. ნოინი; 18. ფადიშაჰი; 19. რკალი; 20. ილორი; 21. ოდინი; 22. ეტი; 23. ექსპორტი; 24. ობამა; 25. რეფერი; 26. ნარი; 27. ევა ლონგორია; 28. სუტენიორი; 29. იდენი; 30. ლევ; 31. ალო; 32. ბილიკი; 33. ადიდა; 34. იმიჯი; 35. ასტანა; 36. ტანა; 37. მენელაე; 38. ჯილი; 39. ლენა; 40. ანგელოზი; 41. მარალი; 42. რური; 43. შავი; 44. ინა; 45. ილი; 46. ქვა; 47. ევრიკა; 48. ადაჟიო; 49. ამინ; 50. „ჟიზელი“; 51. უქმე; 52. ზრო; 53. ჰერა; 54. ოტავა; 55. ნეოგეა; 56. „სიზმარა“; 57. ნისქვილი; 58. ნორმან; 59. ნიამეი; 60. გაზონი; 61. რევიუ; 62. ბრი; 63. ილაჯი; 64. ბრილიანტი; 65. კიმონო; 66. ვატო; 67. მოა; 68. რკო; 69. „ნივეა“; 70. რაი; 71. ზარი; 72. აია; 73. ტერ; 74. მელ; 75. მაზეგ; 76. ლივრეა; 77. კოლიმა; 78. ბაო; 79. ასტამი; 80. ანაგა; 81. ლიმა; 82. გალა; 83. სეგოვია; 84. ერე; 85. ჯა; 86. ოსტატი; 87. სე; 88. ავრალი.



1.უძველესი ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში
2. დენის ძალის მარეგულირებელი ხელსაწყო
3.ზამთრის სასახლის არქიტ. სანკტ-პეტერბურგში
4. შინაური ცხოველი
5. „ცხრამეტნაოჭიანი“ საჭმელი
6. მეხსიერების დაკარგვა
7. იაპონიის უდიდესი კუნძული
8. შოკოლადის საგანგებოდ შერჩეული ნაკრები
9. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
10. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი
11. ლონდონის ცნობილი სტადიონი
12.კალიფორნიის შტატის საკურორტო ქალაქი
13. აფრიკული მაგია
14. „ბითლზის“ წევრი რინგო ...
15. პურის ჭამა დილით
16. მეფის მეუღლე ქორწილში
17. ყურძენ იზაბელას ხალხური სახელწოდება
18. ოთახის დეკორატიული ყვავილი
19. მარჯნის კუნძული
20. მედიცინის დარგი
21. მამალი ცხენი
22. პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში
23. უნაგირის ნაწილი
24. პატარა დროშა
25.ფიზიკის ნაწილი, სწავლობს ბგერას
26. შექსპირის მეფე
27. ამერიკელი ნობელიანტი მწერალი
28. კბილის ბუდე
29. ბრიტანული სიგრძის ერთეული
30. მწერალი ... გოთუა
31. ზევსის სატრფო, რომელიც ძროხად გადაიქცა
32. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
33. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
34. (ძვ.) სამანძიანი სამხედრო გემი
35. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
36. ინდონეზიის კუნძული
37.ქართ. ფილმი ველოსიპედისტი ბიჭის შესახებ
38.მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშნა
39. ისრაელის წარმოების ავტომატი
40. ქალბატონისადმი მიმართვა სკანდინავიაში
41. ეთიოპიის უდიდესი ტბა
42. ჭეშმარიტების ქალღმ. ეგვიპტურ მითოლოგიაში
43. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
44. მდინარე გურიაში
45. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... მური
46. კენიის დედაქალაქი
47. მკათათვის თანამედროვე სახელწოდება
48. თმის საშრობი ელექტროხელსაწყო
49. ორადგილიანი ველოსიპედი
50.ხვრელი თვალის ფერად გარსში
51. ოსტატობის ხარისხი ძიუდოში
52.იტალიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე
53. ამერიკელი მსახიობი ზაკ ...
54.საკურორტო სოფ. ხაშურის რაიონში
55. მხედველობის ორგანო
56. პოპულარული ბრაზილიური ცეკვა
57. იგივე სახედარი
58.წიწვოვანი ხის წვენი
59. ძროხისთავიანი ქალღმერთი ეგვიპ. მით.
60. მარადწ. ბალახოვანი სურნელოვანი მცენარე
61. რაგბის ტერმინი
62.ლუდის მასალა
63.კეთილი სული ევროპულ მითოლოგიაში
64. ჩინური ტანვარჯიში
65.გრძელყელიანი მინის ჭურჭელი წყლისათვის
66.ფრანგი ავტომრბოლელი ... პროსტი
67. დაისის ანტონიმი
68.რისამე უკან არსებული სივრცე
69. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
70. ინდური კობრა
71. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
72. მატყლის ქსოვილი
73. ავტომობილის ძარის ტიპი
74. სამაგიდო თამაში
75.ზევსის თავიდან შობილი ასული
76. პატარა ტყე მინდორში
77. სპორტული ცურვის ხერხი
78. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
79. სამეჯლისო ცეკვების ცნობილი სტუდია
80. პოეტური გამოცანა
81. სამეურნეო მუშაკი
82. ქართველი ბარდი ... რამიშვილი
83. ჯავშნიანი რეპტილია
84. V ნოტი
85.ინდიელ-თა ტომი
86. შებოლილი ხორცი
87. იტალიური ფიჭვი

აუზზე ტატუთი არ უშვებენ

იაპონიაში ტატუს მქონე ადამიანებს არ უშვებენ აბანოებსა და აუზებზე. ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ქვეყნის ტურიზმის სააგენტომ სამთავრობო გამოკითხვა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ სასტუმროების 56%-ს ასეთი აკრძალვა აქვს (ქვეყანაში ტატუ ასოცირდება იაკუძასთან — ორგანიზებულ დანაშაულთან), 13%-ის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ტატუს მფლობელებს შეუშვებენ, თუკი ისინი ტანზე ნახატებს დაიფარავენ. იაპონიაში ასეთი ადამიანები, წესით, არ მუშაობენ სახელმწიფო კონტრაქტებით, ქალაქ ოსაკას ერთ-ერთ სკოლაში კი მასწავლებელი ტატუს გამო დააჯარიმეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.